ლიმიტრი ყიფიანი

ზ. ჭ–ი

1892 წ.

ბიბლიოთეკა-მუზეუ
Библиотека-Муз
имени
Акад. И. Гришашв
Академия наук Г

36230

დიმიტრი უიფიანი

რაც ქართული ასალი ძალა და მწერლობა აღორძინდა, მას შემდეგ ყოველ პატიოსან ქართველ მწერლის ერთ უმაღლეს კანონმდებლობითი კალდებულებას საქართველოს სიყვარულის შესახები ღაღადება შეადგენდა. იმ ქართველ კაცს თავის დედის ძუძუ შხამათ უნდა შაერგოს, ვისაც თავის ქვეყნის და ერის ბედნიერების გამო შრომა და სიკვდილი დაზარდებია. დასასტრია ისეთი თავობა, რომელთაც თავის დადება თავისთ სამშობლო ქვეყნის და ერის თავისუფლების გამო ჩალათ მიაჩნიათო. იდიოლურათ საუბარს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი მწერლების ასეთი მოაზრეობის შესახებ სხვა-და-სხვა სიტყვებითაც დავასაბუთებთ. მაგალითად:

მას დედის ძუძუ ტკბილი შხამათაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია.

ეს სთქვა ჩვენი დროის მწერალმა ბ. ილ. ჭავჭავაძემ და ამაზე წიხეთ გრ. ორბელიანმა წარმოსთქვა: მამულო, საყვარელო, ვინ გახსენოს, რომ იმის გული არ ათრთოლდესო, ვინ გიხილოს დროსა საშიშს, რომ შენს გამო სისხლი არ დასთხიოსო. თავი არ დაგავალასო. ვინც კი გამოვიდენ ქართველი მწერლები, ყველას ღაღადებას ეს შეადგენდა.

როცა საქართველოში, 1830 წლებში, მესამეთ გამოიცა ქართული ყურნალ-გაზეთი, მაშინათვე მას თან მოჰყვა ეს მიმართვა. იმ დროების ზოგი ერთ ვირების მეოხებით და ნამეტურ სოლომან დოდაშვილის, საქმე ისე წავიდა, რომ იმ დროშია ერთობ ბევრს აღებეჭდა გულში საქართველოსადმი

პატივისცემა და სიყვარული. ამ ღაღადების გრძნობებმა მით უფრო იჩინეს თავი ჩვენში, რადგანაც იმ დროს უკვე დაარსებული იყო ის სენი და თავ მოწონება, რომელსაც ქართველობის „გმობის ხანა“ ეწოდება. როცა ჩვენმა მამებმა დაიგიწყეს თავიანთი თავი და დაგვიგიწყეს ჩვენც. საქართველოს მუდმივმა ბრძოლამ ბევრნაირათ იმოქმედა ქართველ ხალხის სულიერს და ხორციელს მსარეებზე. დაუსრულებელმა ბრძოლამ და ტანჯვამ მათში სასტიკათ აღმოკვეთა ბევრი რამ კეთილ მსარეებისადმი მიწერაფება და მიდრეკილებანი. სწორეთ ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ 1820 წლებში, ქართველთა ნაზრობნება ისე დაეცა, რომ მათში თავიანთი პატივის ცემის სხივები სრულიად აღმოიკვეთა. აქა იქ თითო ორორა კეთილ სინიდისიანი პირებიც ჩნდებოდენ, მაგრამ მათი რიცხვი ერთობ მცირე იყო და ესენი საითაც მიდიოდენ, იქითვე იქცეოდენ. გულ გატეხილნი ესენიც სამუდამოთ ესალმებოდენ და ეთხოვებოდენ თავიანთ დედა ნაზრებს და მიმართვას. ამათ ასეთ გულ გრილობამ ბევრნაირათ იმოქმედა ჩვენს ერზე. ამათი გულ აურის და აცრუვების მიზეზები გახლდათ, რომ ჩვენი ერი არამც თუ თავის სიტყვა „მე“-თ დავარდა და დაუძლურდა, არამედ ეგონმიურათაც, ქართველობით და „ჩვენობითაც“.

მაგრამ გავიდა უბედურების და შავი დროის ხანი, ნიავმა სხვა ნაირათ დაბერა. ბუნებამ თავისი გაიტანა, ქართველს გარემოებამ მცირეთ გაუხილა თვალები და დაათვიქრა თვის ქვეყანაზე, ერზე, ერის ენაზე და ბევრს კიდევ სხვებზე. უამისობა არ იქმნებოდა, ქართველები რაც უნდა ცდილიყვნენ თავიანთ თავის და ვინაობის დავარგვაზე, მაინც არ მოხდებოდა ეს, რადგანაც კაცისთვის თავის ქვეყნის სიყვარულიც ისეთსავე ბუნებრივს კანონს შეადგენს, როგორც პირუტყვისთვის ზოლოგიურის კანონით შვილის სიყვარული. ამის შესახებ იქმნება ვინმემ სთქვას: განა შეიძლება ისეთი კაცი იქმნეს, რომ იმას

თავის სამშობლო არ უყვარდესო? ვინ იქნება ის თავიდამ სულ ალებული, რომ თავის სამშობლო ერს პატივს არ სცემდესო?!. სწორეთ ასევე წარმოსთქვა ბ. ჭრელაშვილმა „იმედში“ რომ ჩვენი ერის მამულის მოყვარეობაზე განა ითქმის რამეო. ე. ი. ეჭვი არ უნდა, რომ ყოველ ქართველს თავისი სამშობლო ერი და ენა უყვარსო. ამ წერილმა დიდი საზი გააკლო ქართულს მწერლობას და თვის დამწერის შორის. დიახ, როგორც განათლებულს ერში შეიძლება რომ ასე იყოს და ყოველ პირს ის უფრო უყვარდეს, ვინც უფრო მასთან ახლოს სდგას, მაგრამ ჩვენში-კი, ეს ერთობ იშვიათია. ასეთ გულ გრილობას და გულ-ქვაობას ქართველი საზოგადოება ერთობ დიდიხანია რაც დაადგა. ამათში დიდი ხანია რაც გაქრა ყოველსაირი ღირსება, კაცის კაცათ ცნობა და სხვანი. განათლებით მართალია წინ მიგდიგართ, მართალია ათასნაირი ოსტატობა და მსჯელობის შნოც შეგიძინეთ, მაგრამ გიტყვით იმასაც, რომ ამ ნარეულებთან, ჩვენ საკმარისი გულ ქვაობა და უთანაგრძნობლობაც ჩაგინერგეთ გვამში, როგორც სამშობლო ქვეყნისა და ერის წინაშე, ისევე ჩვენის მწერლობისა და დედა ენისა. ასე იყო წინეთ ჩვენში და ეს დღესაც ასეა ჩვენის უმეტესის მოწინააღმდეგ პირებისაგან. ამათგის სულ ერთია, გინდ ყოფილა ქართველი ერი და გინდ არა, ქართული ენა გინდ ყვავს შეუჭამია და გინდ ყორანს. ოღონდ თვითონ იყვნენ კარგათ.

დიდი ხანია რაც ამათ აკაკის ღამურას ქურქი წამოისხეს ტანზე, დიდი ხანია რაც ამათ ეველაფერზე გული აჭყარეს და ეს გულ გრილობა თავიანთ შვილებსაც მემკვიდრეობათ გარდმოსცეს. მამებზე უარესათ წასდენ შვილები. ამათ რომ ვინმემ რამე ჰკითხოს ჩვენი საქმეების და მწერლობის შესახებ, ესენი მაშინათვე სარხარს დაიწყებენ, რა დროს ეგენიაო, შენგან არ მიგვირსო, დრო კოსმოპოლიტურია. ჩვენთვის სულ ერია, ვინც უნდა იყოსო, გინდ ქართველი საქართველოში და

გინდ სხვაო. ამას რასაკვირველია ესენი ათასხარის ჭუმანიურის გრძნობებითაც მორთავენ და თავიანთ თავებს ისე აჩვენებენ სალსს, რომ თვითქოს ესენი ამ კოსმოპოლიტურის ჭაზროვნებისთვის ჯვარზე გეეკვრებიან, მაგრამ როცა საქმე საჭიროებას მოითხოვს და ამათ ვინმე რამე თანაგრძნობას, ან დახმარებას სთხოვს, მაშინ-კი მშვიდობით, ესენი ალარც კოსმოპოლიტები არიან და ალარც სხვა. ამათ მარტო თავიანთ თავები აგონდებათ. ცხადათ და ნათლათ სჩანს ყველგან ის, რომ ქართველმა მოწინავე ძალამ საქართველოს სიყვარულს გული აჭყარა. ესენი არაფერს საქმეში მონაწილეობას ალარ იღებენ. ვინც იღებს მათი რიცხვი ერთობ მცირეა, ამის შენიშვნაც არ ღირს.

აი, ჩვენის ფიქრით, ქართველ მწერალთა მიზეზებათ ეს უნდა გამხდარიყო, რომ იმ დროს, როცა ქართველობის „გმობის სანა დაარსდა“ ამავე დროს მათ აღორძინეს ქართველობის მცნობელობის ნანა, სადაც გულ მუდულრათ და მწარეთ დასტირდენ ჩვენს ბედასლობას და უკაცობას. იყო დრო, რომ ერთ მხარეს ჩვენ მწერლებთაგან ცხარე ცრემლები იფრქვეოდა ჩვენს უბედურს ცხოვრებაზე, ჩვენს არა რაობაზე, გაწყალებაზე და ამავ დროს, მეორე მხარეს იყო ისეთი საზოგადოებაც, რომელნიც ამ ცხარე ცრემლებს ხითხითით და გაგვირვებით უმზერდნენ. ასეთი ყალიბის ხალხი ჩვენში ბევრნი იყვნენ წინეთ და ბევრნი არიან დღესაც. მერე ვინ რას ამბობდა ამათ, არავინ არაფერს, ისინი, ვინც თავიანთ ვინაობის საქმეს და ცნობას ემსახურებოდენ, ესენი ვაებით ატარებდენ დროს და უსიხარულოთ იხოტებოდნენ და ზემოხსენებული ბირები კი ყოველთვის სიამოვნებით ატარებდენ დროს და მათ ყველა მოწიწებით უმზერდენ. ბირველმა შეიძინეს სიდატაკე, ტანჯვა და წამება, მაგრამ ამასთანავე დიდი სიწმინდე და ღირსება, რომელსაც შთამომავლობა ყოველთვის სიამოვნებით შოიგონებს.

ვინც თვის მამულზედ მარად ფიქრობდა
და სამშობლოსთვის უძგერდა გული,
მისი სახელი უკუნისამდე იყოს მაღალი და კურთხეული.

ამ ხალხში აქა იქ თითო ოროლა კეთილ სინდისიანი პირებიც ტრიალებდნენ და ესენი ყოველთვის და ყოველგან საკმარის პატივის ცემას და სამსახურს უწევდნენ თავის თანამემამულეთ. ამათ არავის მორიდება არა ჰქონდათ, ესენი ყოველთვის და ყველგან სიამოვნებით იღებდნენ მონაწილეობას, მაგალითად: ვისმე მოწათეს გააგდებდნენ სასწავლებლიდამ, ესენი მაშინათვე ამ მოწათის გამო მზრუნველთან მიდიოდენ და დაბრუნებას სთხოვდენ, გლეხებს უმატებდენ გადასახადს და ამაზედაც-კი სძრავდნენ სიტყვას, ენის გამო აღიძრებოდა ლაპარაკი და ამაზედაც. სხვა რამის შესახებ ჩამოვარდებოდა საუბარი და კიდევ ასევე. ესენი თავიანთ მოვალეობას ასრულებდენ ისე, როგორც ყოველს პატიოსან კაცს მოეთხოვება და შეეფერება. ერთ ასეთ პატივ-საცემ პირათ ჩვენ მიგვაჩნია დიმ. ყიფიანი, რომელიც მთელის თავის სიცოცხლით და ცხოვრებით ნათელს ჰფენს და ამაღლებს არამც თუ თვის კაცურს ღირსებას, არამედ ამაღლებს თვით იმ დროის ულაპია ქართველ უსარგებლო პირების სახელსაც, რომელნიც მის დროს სცხოვრებდენ და ესენი თავიანთ საშობლო ქვეყნის საწყალ ხალხს ისე ხრამდენ, როგორც დღეს მათ საფლავში ჰხრამსთ მატლები.

დ. ყიფიანი არის ისეთი პირი, რომლის მსგავსი იშვიათია არამც თუ მის დროში, არამედ ჩვენს დროშიაც. იგი განმარტებული პირია.

გამბედაობაში მას ცალი არავინა ჰყავს, მის ღირსებას ცხადათ მოწმობენ მის საქმენი და მაგალითნი. ვიტყვით, რომ მისი ქართველობის სიყვარული არ იყო ლიტონის მსგავსი სიტყვები, იგი არის საქმე, საქმისათვის შრომა და სიყვარული. ასეთი პირები ყოველთვის პატივ საცემნი იქნებიან

ჩვენს ისტორიაში ასეთი პირების მოგონება განამხნევებს და გან�იძებს ქართველთ მოზარდ თაობას. იმის უმაგალითო დიდსულოვნობა და ძალა განუსაზღვრელს იმედებს და სიამოვნებას მოჰფენს ჩვენს თაობასა, ამათ ამედიდურებს, მათ განამხნევებს თვის დიდის ნიჭითა; თავის დადებით და მოქალაქურის ჴასზრახვნებით. საფრანგეთის ისტორიკოსი მიშლე ბრძანებს, რომ ისტორია მკვდრეთით აღადგენს ბევრს დიდებულ პირებსო და იგი ჴასზრახვნების სხიკებს მიჴფენს მომავალს თავობასაო. კიტყვით, რომ ჭეშმარიტად და მკვდარი დიმ. ყიფიანის ცხოვრების ცნობები ბევრს ჭაბუკს ქართველს გაამხნევებს და აღადგენს იგი ტოტხლის გრძნობებითა. ეს პატივ საცემი პირი რომ ირლანდიაში დაბადებულიყო, მაშინ იგი იქმნებოდა ირლანდიის გლადსტონი. მაგრამ რაკი იგი ჩვენში დაიბადა, ამიტომ დარჩა ისე, რომ ბევრნი მას იცნობდენ როგორც ძველ აზნაურის შვილს, ბევრნი ისე იცნობდენ, როგორც ბერერალს, ჩინოსანს, ბევრნი როგორც მონარხიულ ჴასზრახვნების მოხუცს. ამის წინააღმდეგ წავალთ ჩვენ. ჩვენ ფაქტებით დავამტკიცებთ დ. ყიფიანის მონარხიული ჴასზრახვნების წინააღმდეგ. ბევრნი კიდევ ამას იცნობდენ, როგორც მოხუცებულს პირს. ჩვენ-კი ამ პირს ქართველების გლადსტონს უწოდებთ. ეს არამც თუ მარტოთ ქართველების, არამედ მთელის კავკაზიის გლადსტონათ წარმოსდგებოდა, რომ ეს პირი თავის დროს დაბადებულიყო და ან მას შესაფერი დასი ჴყვრიყო გარს. ქართველ თაობას საკმარისი მედიდურება მართებს ამაზე, რომ მათ 1831 წლებში გამოუვიდათ ერთი ისეთი პირი, რომელიც თვის გონებით და ჴასზრახვნებით ერთობ ახლოს იდგა საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის იმ გამოჩენილ თავდადებულ პირებთან, რომლებმაც თავიანთის თავის დადებით საფრანგეთის ერს ბევრნაირი რამ ჴასზრახვნება ამცნიეს და მოუჩქარეს ის უდიდესი შემთხვევა, რაც-კი 1789 წ. მოხდა. ამ

ერის დიდებულ პირთა მაგალითებით სავსეა დ. ყიფიანის სულოვნება, ამ პირების ცხოვრება მას კარგათ აქვს შესწავლილი. დიდის პატივით მოიხსენებს თვით რობესპიერს, დანტონს და მარატსა. ამავე ერის ამ საუკუნის ორს უდიდეს პირთ ბრუდონს და ლუის ბლანსაც დიდის პატივით ეპყრობა და ბრუდონის „საკუთრების“ წინააღმდეგ მოძღვრებასაც ჩინებულებით მარტავს. რომ გავიცნათ ეს პირი და ამის ცხოვრება, მაშინ დავინახავთ, რომ ეს არის ნიშანი და ნაყოფი იმ დიდებულის პირებისა, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენეთ.

ქართველების გლადსტონათ ჩემგან წოდებული დ. ყიფიანი დაიბადა 1815 წ. სოფ. ქვიშხეთში. შთამომავლობით აზნაურისშვილია. საკმარისად სახელოვნის და არა ისე მდიდრის ოჯახის.

დიმიტრის მამა, ძველი ქართველი აზნაური იყო, მეფეების მომსწრე, მნახველი ბევრის ამბებისა. ხასტიკი კაცი თავის საქმეებში, მეტი სიფაქიზის მოყვარე, დედა ამის ფურცელაანთ ქალია, თავის დროის კვალათ გაზდილი. მცოდნე ქართულის წერა-კითხვისა და მწიგნობრობისა. ეს ქალი დიდათ მეცადინეობდა შვილების გაწვრთვნასა და წიგნის შესწავლაზე. დ. ყიფიანი თავის დედის გავლენის ქვეშ იზდებოდა. ეს იზდებოდა რიგიანათ, ისე, როგორც ყოველს პატიოსანს ოჯახს მოეთხოვება, სწორედ ამ რიგიანობის მიზეზი იყო, რომ იგი შემდეგში კაცურ კაცათ აღმოსჩნდა. ოჯახში ასეთ სამასწავლებლო მსარეებმა დ. ყიფიანს ბევრ ნაირათ დაავალეს, აქ არსებულმა პედაგოგიურმა ზომებმა განასვეტაგეს დიმიტრის გონება, აქ აუკაკილდა მისი გრძნობები, აქ გაიფურჩქვნა თითქმის იმისი უმანკო გონება და აქვე ასხილა მან თვალი. სწორედ ამის მიზეზი იყო ის, რომ მას თავის ქვეყნისა და ერის სიყვარული პირველის თვალის ახილვიდამვე ჩაენერგა გულში და ეს სიყვარული თავის კუბოს კარამდისაც-კი თან ატარა. პა-

ტივი და დიდება ასეთ კაცებს და ბატივი მით უფრო, რადგანაც ესენი გამოიზარდენ ისეთ დროს, როცა საქართველოში რიგიანი კაცების მოპოვება იშვიათი საქმე იყო. როგორც დ. უიფეანმა შეისწავლა თავის დედისაგან წერა-კითხვა, ისევე სხვა ბევრ მათი გვარის შვილებმა. ზოგიერთ იმ დროის კეთილშობილთ ოჯახებში წერა-კითხვა-კი არა და ხელის მოწერაც არ შეეძლოთ. ამას არც არავინ დარდობდა, რადგანაც ეს მათვის რა საჭირო იყო. დ. უიფეანი გაჰყვა მწიგნობრობის სიყვარულსა და მეცადინეობას. ამას ბატარობიდამვე ჰქონია დიდი ლტოლვილება სწავლა განათლებისა, დიდი მოტრფიალე ქართულის ენისა და გრამატიკისა. ეს მეცადინეობდა ქართული ენისა და გრამატიკის შესწავლაში ისე, რომ მას ცალი არავინ ჰყოლია. ამას მისი გრამატიკაც ამტკიცებს. ტოტათი ხანში შესვლის დროს დ. უიფეანი მიუცია იმ დროის თფილისის სემინარიასთან დაარსებულის სასულიერო სასწავლებელში. აქ უიფეანი დარჩენილა სამს წელს და 1823 წ. აქედამ ეს გადუყვანიათ იმ დროის კეთილ-შობილთ სასწავლებელში, მეორე კლასში. აქ დარჩა დიმ. უიფეანი და სწავლა დაამთავრა. ამ სკოლაში შაგირდების საქმე მაინცა და მაინც კარგათ ვერ მიდიოდა, იმ დროის სემინარია ბევრათ სჯობდა ამას. სემინარიაში უფრო ბევრი რიგიანი ბირები იზდებოდენ და აქედამ გამოსულებმა უფრო მეტი სარგებლობა მოუტანეს საქართველოს, ვიდრე მეორე სასწავლებლიდამ. ამის ბირველი მიზეზი ის იყო, რომ სემინარიაში სულ სამღვდელო და გლეხებიდამ გამოსული კაცის შვილები სწავლობდენ და კეთილ შობილთ სკოლაში-კი უმეტესი ნაწილი ჩვენი კეთილშობილთ ოჯახი შვილები, რომლებიც მეტის აზიზათ გაზდისაგან გაგერანებულები იყვნენ. თუ ვინ იყვნენ ესენი და ან რა შვილები უნდა გამოსულიყვნენ, ეს ყველასთვის ცხადია. იმ დროში იქებოდენ და იდიდებოდენ მხოლოთ ის ბირნი, რომლებმაც ტანცაობა კარგათ იცოდენ.

ტანცაობა ჩვენს ქალებში, ნამეტურ კნეინებში და კნეგინებში ერთობ წაგიდა წინა. ამათ მხოლოდ მოტანცავე კაცები აკლდათ და როცა კი ვინმე რუსეთიდამ ჩამოვიდოდა საქართველოში, მაშინ ერთ კაცს ოსუთმეტი ქალი აეკვიატებოდა სატანცავოთ. მაგრამ ესეც ერთობ იშვიათი იყო. თფილისს ძრიელ ეტყობოდა მოტანცავე კაცებთ სიმცირე. ბევრს წვეულებაში, ტანცაობა დაიწყობოდა, ქალები დუყინობით იყვნენ და კაცები კი არსად სჩანდნენ. აი ამიტომ, მრავალთა დიდათ ოჯახის ქალების თხოვნით, მაშინდელის მთავარ მართებლისაგან კეთილ-შობილთ სასწავლებლის მესუთე და მეექვსე კლასის მოწაფეებს ნება მიეცათ, რომ აქა იქ ტანცაობაში ეკლოთ და ქალების მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ. იმ დროის შეგირდებსაც ეს უნდოდათ, ესენი უამისოთაც ჩუმათ დადიოდენ და მთელს თავიანთ დროს ამ საქმეებში ატარებდენ, რადგანაც 1820 წლებში, თფილისში სრულებით არათერი დროს გასატარებელი ადგილები არ იყო. უცხოეთის გაზეთი და წიგნი არსად იყო და ქართულზე ხომ სულ არ ყოფილიყო. თუმცა პირველი ქართული გაზეთი 1817 წ. გამოიცა თფილისში, მაგრამ ესეც მტკნარი და ხალხიც შეუჩვეველი. წარმოდგენებიც არ იცოდენ. როგორც ამბობენ: ამ წლებში კი დაუწყიათ თფილისში აქა იქ შინაური წარმოდგენები, მაგრამ რუსულათ. ხალხს არ ესმოდა თურმე. ამას გარდა ხანდისხან რუსეთიდამ კამედიანჩიკებიც მოდიოდენ და დროებით თამაშობდენ. ხანდისხან აქაური ჯამბაზიც თამაშობდა. კრიკი და ჭიდალიც იცოდენ, მხოლოდ უველა ეს ზათვხულობით, ზამთარში არათერი შაეძლოთ და მიტომ უფრო ტანცაობა და ლხინები იყო სოლმე გამართული. მოწაფეებს რაკი ნება მიეცათ აქა იქ სიარულისა, ამათ დაიწყეს სიარული და ხშირად კვირაში სამს ოთხს წვეულებასა და ტანცაობას მაინც ესწრობოდენ. მოწაფეების ასეთ საქმეებს ბევრის დედმამანი გაკვირვებით უმზერდენ, მაგრამ რას იზავდენ, ბევრნი ასმენდენ

მათ, რომ აქა იქ სიარულით გამოიწურთნებიანო. ერთხელ დ. ყიფიანი წკეულებაში ეოფილა, დილით სასწავლებელში წასულა და ვერანგის სახელოებზე წმინდა სამთლის ნაღვენთები ჰქონია, რადგანაც იმ დროს წმიდა სამთლებს ანთებდენ, კართოფილის არსად იყო. ყიფიანს ამის მორიდება ჰქონია თვის ისეთ ამხანაგებში, რომლებიც უფრო მასზე მცირე წლოვანი ეოფილან, ამიტომ მას უსურვია ამ ნაღვენთების მელნით გაშავება. ეს ერთის კლასიდამ მეორე კლასში გავიდა, კარებთან დაემალა და აშავებდა, ამ დროს მას თვალი შეასწრო ერთმა მასწავლებელმა და დაუყვირა:

— „რას შვრებიო“!

— არაფერსა, მიუგო დიმ. ყიფიანმა.

— როგორ თუ არაფერსა? წამოვარდა ეს თათრული ენის მასწავლებელი, სტაცა დ. ყიფიანს თმებში ხელი, აიღო და კინაღამ დაანარცხა, მაინც ცემა დაუწყო და ისე სცემა, რომ ცხვირ-პირიდამ სისხლი ადინა. ყიფიანმაც რასაკვირველია ახალგაზდური მუშტები ზდო გვერდებში და სილები მიაწნა. სხვა რა უნდა ექმნა. მოთმინებიდამ გამოიყვანა და მიტომ, თორემ ყიფიანი ადვილათ ვერ გაბედავდა მის შეხებას, რადგანაც იმ დროს როზგი და ლილეიკის ხმარება ძრიელ იყო მოდაში შესული. მეორე მესამე დღეს საჩივარი ატუდა. ყიფიანი უნდა სკოლიდამ დათხოვნათ, დათხოვნას კი აკმარებდა, ციხეშიაც უკრავდენ თავს დროებით. საქმემ მთავარ მართებლამდის მიაღწია, ერთ დღეს დაიბარეს იქ. დ. ყიფიანი წავიდა სამხედრო გუბერნატორთანა. იმ დროს, როცა სამხედრო გუბერნატორი ესაუბრებოდა დ. ყიფიანს და დარიგებასა და მუქარებას აძლევდა, აქ შემოვიდა ერთი ბაგრატოვანთაგანი, დიმიტრი, კაცი მელექსე, და ბევრი სხვა-და-სხვა წერილების დამწერი. ამან იცნა ყიფიანი და სამხედრო გუბერნატორს უთხრა, რომ რაც გინდათ ბრძანეთ, მაგრამ რიგი არ არის, რომ ვიღაც მასწავლებელი ჩვე-

ი კეთილშობილთ შვილები თემების გლეჯას, ცემას და თრეკას დაუწყებს. ეს მოსაწონი არ გასლავსთ. ამან იპატია და ძით გადარჩა ყიფიანი სკოლიდამ გამორიცხვას და სასჯელსა. ერთი ასეთივე შემთხვევა კიდევ ეწვია ამას. ესენი ერთ დამეს იმ დროის გამოჩენილ ალ. ჭავჭავაძის სახლში წასულიყვნენ, აქ გაეტარებინათ დრო და ეტანცავნათ. მეორე დღეს ამათ კლასში ცემას და გარეკვას უპირებდენ, მაგრამ გრიბოედოვის მეუღლემ იპატია თურმე. ეს რომ არ ყოფილიყო, უამისოთ სასტიკათ დასჯიდა სკოლის რჩევა, რადგანაც ისეთ დიდვაცის სახლში, როგორიც იყო იმ დროს ალ. ჭავჭავაძე, ჩვენს ნება დაურთველათ ნუ წასვალთო. რომ არ ეწყინოსთ რამეო. ბევრის მოთმინებით დ. ყიფიანს სწავლა დაუმთავრებია.

სასწავლებლიდამ გამოსულს დიმიტრის მალე მოუძებნია სამსახური, ეს შესულა იმ დროის სამაზრო სამართველოში, დაუწყია მსახურება და ძრიელაც ერთგულათ. ამას იმედი ჰქონია, რომ ამ სამართველოში მე კანონიერ მოსამსახურეთ ჩამთვლიან და დამამტკიცებენო, მაგრამ თვენახევრის უკან ამის დამტკიცებაზე უარი მოსვლიათ. მიზეზი თვითონაც არ ჰცოდნია. ეს დაღონებულა დიდათ, მაგრამ რას იზავდა. 1829 წ. ეს გადავიდა დეპუტაციათ საბრანიაში. მაგრამ არც აქ დასტოვეს ეს დიდსანს, რადგანაც ამ დროს ამათი გვარის სალხინი ნამდვილ აზნაურებათ არ იყვნენ აღიარებული და დამტკიცებულნი. უამისოთ კი არ შვრებოდენ იმ დროის მოხელენი, ჩვენი სამართველოს მოხელენი უეჭველათ ნამდვილი აზნაურის ან თავადის შვილი უნდა იყოს. ესეთი საქციელი მაშინდელის გამგეობისა ყიფიანს ერთობ სწყინდა. გაკვირვებული იყო ამაზე, ვინ არ იქმნებოდა გაკვირვებული. უსდელობა შეიძლებოდა, მაგრამ რომ ამ უსდელობამდის მიეღწიათ; ეს-კი არ კიცოდით ჩვენ. დ. ყიფიანის ასეთი შემთხვევები ბევრს გაეგოთ, გაეგოთ ამათ სკოლის უფროსებსაც, სკოლის უფროსები ეს მა-

სწავლებლათ მოუთხოვნიათ, მაგრამ ადგილობრივ მთავრობა არ დაუმტკიცებია, რადგანაც ამ დროს იგი 16 წლისა ყოფილა. ოცი წლის რომ შესრულებულა, მაშინ-კი მიუღიათ ეს მასწავლებლათა. აქ დარჩენილა სამს წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში მას მეტათ ლამაზათ უსრულებია თავის მოვალეობა. ამ დროს იქ ქართველთ მასწავლებელთ რიცხვი ერთობ მცირე იყო, აქ იმყოფებოდა მხოლოდ ერთათ-ერთი ქართველი, სოლომან დოდაევი. კაცი მაშვრალი და დიდათ პატივსაცემი ჩვენს ისტორიაში. ამას გარდა სხვა არავინ იყო. იმ დროში ქართველი ბავშვები რუსულს ენას მიუჩვეველნი იყვნენ და მიტომ კინაღამ მათ მშობლიურს ენაზე ეტყოდა რამეს, ის მათვის დიდს საქმეთ ითვლებოდა. ამას გარდა მასწავლებელთა და მოწაფეთ შორის ყოველთვის ერთი ალიაქოთი იყო აჩეხილი და სიძულვილი. ყოფიანი-კი ისე იჭერდა თავს, რომ მის პატივის-მცემელნი არამც თუ კლასში მოიპოვებოდენ, არამედ კარშიაც-კი მას დიდს პატივს სცემდენ და აგონებდენ. სანა-კი წვეულებანი სხვა რამ ლხინები გამართულიყო, იქ დ. ყოფიანს უეჭველათ მიიწვევდენ. ამ დროს გაჩენია დიმიტრი ყოფიანი ქართულს ენაზე სიტყვების წარმოთქმას. ამან ერთობ ადრე ისახელა ამით თავი და ორატორის სახელი დაიმსახურა იმ დროის თავად აზნაურების საზოგადოებაში. სიტყვებს გარდა ეს იმ დროის ქართველებს სხვა-და-სხვა საქმეებშიაც ეხმარებოდა, ნამეტურ პეტიციების წერაში, სხვა-და-სხვა თხოვნების და წერილების წერით. დ. ყოფიანი მარტოთ ამ დროის ქართველებში არ იქმნა ცნობილი, იგი მაღე იქმნა ცნობილ თვით იმ დროების თეთრილისში მცხოვრებს რუსებისათვისაც, რომელთა რიცხვი მაინცა და მაინც არც ისე დიდი იყო.

ამ დროებში თეთრილისში სცხოვრებდა სოლომან დოდაშვილი, ქართველი მწიგნობარი, რუსეთის უმაღლესის სასწავლებლიდამ გამოსული. ეს დიდად მეცადინეობდა ქართველ ყმა-

წელებში საქართველოს სიყვარულის აღორძინებაზე. ამის საქმე და ლაპარაკი ერთ თავათ ეს იყო. ყველას იმას ეუბნებოდა, რომ ყმაწვილებო, თვალები გაიღეთ, გონათლება მიიღეთ და წინ წადითო. ეს ზოგს მწიგნობრობის სიყვარულს აკედრებდა, ზოგს სათარგმნს წერილებს აძლევდა და ქართულათ თარგმნინებდა, ზოგს საუბარში სწურთნიდა და ზოგსაც სხვაფრიად. ამას ამ დროს ერთობ დიდი შრომა სჭირდებოდა, რადგანაც ამ დროის ქართველობა მეტათ იყო წამხდარი. აქ აღარც ქართველობა იყო, აღარც კაცი და აღარც კაცური საქმე, მაგრამ სოლ. დოდაშვილმა და მის თანამგრძნობელთა ამ ცარიელობას სასტიკათ აღუდგეს წინ და საქმე სულ სხვანაირათ დაატრიალეს. ამათ აღადგინეს აქ ცოცხალი ჭაზრები, ქართული მწერლობა და ქართველობის ცნობა და პატიოსნება. ამათმა მეცადინეობამ ერთობ მალე გაიდგა ფესვი, მთელს საქართველოში მოიფინა და აქ მრავალთ ქართველთ დაიწყეს მეცადინეობა და დრტვინვა, როგორათაც თავიანთ ქვეყანაზე, ისეგე ქართულს მწერლობაზე და სხვანი. ამ პირებში ერია განსვენებული დ. უოფიანიც და ესეც ისეგე მოქმედებდა და მეცადინეობდა, როგორც მათი წინამძღოლი სოლ. დოდაშვილი და სხვანი. ქართული წიგნების გავრცელებას გარდა სოლ. დოდაშვილმა სხვა რამეების გავრცელებაც დაიწყო. ეს სხვა რამეები იყო საქართველოს განთავისუფლების საქმე. თფილისში პირველათ დოდაშვილმა სცადა ამის შესახებ აქა იქ საუბარი, თუმცა დიდის მორიდებით. ამან თანამგრძნობელთ რიცხვი მალე იშოვა. მას ძრიელ დაეჭირაგეს ბევრნი. ამან გაავრცელა, რომ შესედეთ, პოლშელები როგორ აჯაუდენ და ჩვენ-კი ვერას ვახერხებთო, ეხლა უნდა ვეცადოთ, რომ თავს უშველოთ, რადგანაც რუსებს ჯერ არა აქვსთ აქ ფეხი გამაგრებული, თორემ შემდეგ ველარას გავაწყობთო. ამ წრეშიგე ჩაერია დ. უოფიანი. ამისთვის ეს ყმაწვილი კაცი კოლოგდში გაგზავნეს, იქ მისული რამდენ-

სამე ხანს მართველობის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. ეს მალე შეკიდა იქაურს გუბერნიის სამართველოში. აქ მეტათ კარგათ მსახურებდა. ყველა გაკვირვებული იყო ამის ასეთ ერთგულს სამსახურზე. მაგრამ ზოგი ერთი რუსები-კი მაინც ეჭვით უმზერდენ. ესენი ამის თვალში იმას ხედავდენ, რაც იმ დროის ბოლშელებისა. ერთხელ ყიფიანს ერთის მოხელესთვის სალამი არ მიეცა და ამის გამო მოხელემ მას რუსეთის სამეფო წესების წინაშე ურჩობა დასწამა. მაინც ყიფიანმა თავის დაუცხრომელის შრომის მოხებით სამი წლის შემდეგ აქ მან გუბერნიის სეკრეტრობა მიიღო. აქ ყოფნის დროს დ. ყიფიანი ერთობ მეცადინეობდა თავის თანამდებობაზე და რუსულს ენაზე წიგნების წაკითხვაში. ამ დროს ბელინსკის სტატიები ახალად შედიოდა კითხვაში და ცხადი საქმეა, რომ ამას ყიფიანიც არ ასცდებოდა. რუსულს ლიტერატურის გაცნობასთან ეს საკმარისათ კითხულობდა ფრანგულს წიგნებს და სწავლობდა. ფრანგული ენა და მწერლობა მან აქ ზედ მიწევნით შეისწავლა. ყიფიანის მეცადინეობის შესახები ცნობები თურმე საქართველოშიაც-კი მოჰქონდათ. ეს შეეტყო იმ დროის მთავარ მართებელს, ამას თურმე რიგიანი კაცები ძრიელ უნდოდა თავის სამართველოში და ამიტომ მან მისწერა ვოლოგდის უფროს, რომ ყიფიანი დაეთმოთ და საქართველოში გადმოსულიყო. 1837 წ. ყიფიანი უკვე დაბრუნდა საქართველოში, მოსკოლისათანავე ეს ჩარიცხული იქმნა იმ დროის „საქართველოს უზენავს სამართველოთში“. ამავე დროს ეს ირიცხებოდა გუბერნიის სამართველოშიაც. ესრეთ წოდებული ოსობი ბორუჩენოს ჩინოვნიკათ. როგორც გამოცდილი პირი, ყიფიანს თავის მოვალეობა აქ ერთობ კარგათ მიჰყავდა. იმ დროს, მცირეთ თავის დამდაბლება და რიგიანი საქციელი კაცს უზომოს ღირსებით ამაღლებდა ხალხის თვალში, ყიფიანის ასეთ ღირსებას მალე მიაქციეს ყურადღება და ეს მალე დანიშნეს ქუთაისის გუბერნიის

სამართველოს სეკრეტრათ. ეს ერთის მხრით არ ესიამოვნა მას, მაგრამ რას იზავდა. უარს ვერ იტყოდა, გინდ ეს რომ შესძლებიყო კიდეცა.

იმერეთი საუბედუროთ ძველთვე იყო მოკლებული რიგიან გამგებელთა და პატრონთა. როგორც ძველთ, ისევე იმ დროს მთელი ეს მხარე სავსე იყო ათასნაირის უკანონო პირებით. ქრთამების აღება ძლიერ მოდაში იყო, მოსამართლეთ კერეთ ისევ იმერლის მოვრები, თავადები და აზნაურის შვილები ბრძანდებოდენ, ბევრ ალაგას ესენი ჯერეთ ისევ კასტმეფის კანონებით განაგებდენ. სამართალი და სიმართლე აქ წოდების ქვეშ იყო დალაგმული და გაქელილი. აი ასეთ მხარეში იყო დ. ყიფიანი საჭირო და ეს მალეც წავიდა იქ. იქ ყოფნის დროს მან აღასრულა თავის მოვალეობა. ქართველებს ამცნია თავიანთი კეთური მოვალეობა, ბევრს აუსილა თვალები, ბევრს გააცნო ახალი კანონი. ბევრი ძმა შეარიგა ძმასთან, მამა შვილთან, სახლი კეცი სახლი კეცთან და სხვანი. ამ პირის მოსებით ბევრი დავიდარაბა მოისპო ზემო ხსენებულ პირებში უკაი-კაგლასოთ და უდავი-დარაბოთ, ბევრი გვარის კეცი ასცდა სანჯლებით ჩეხას, სახიერებს და თავის ცოლშვილის დაღუპვას. ამის მხრივ დიდი დავალება აქვს დ. ყიფიანს მათზე, მაგრამ ამაზე უფრო დიდი ღირსება ის არის, რომ იმ უდროებაში დ. ყიფიანი ბევრს საბატონყმო საქმეებშიაც იღებდა მონაწილეობას და ეს იმერეთის წუნკალა ბევრს ბატონს არიგებდა თავის ნაყმევებზე, რომლებიც მათ ძალ-დატანებით და მოტეუებით ჭუკვდათ დაჩემებული. უნამუსობა და უზდელობა შეიძლებოდა რომ ყოფილიყო, მაგრამ ის რაც იმერეთის თავად-აზნაურებს ჭქონდათ, ეს-კი მეტის მეტი იყო. უმაგალითო ბოროტებით. ამ ბოროტებამ იქამდინ მიიყვანა იმერეთის ერის საქმე, რომ გლეხ-კეცები დღე და ღამე თავიანთ მამაპაპეულის მამულებიდან იყრებოდენ და სულ ქართლ-კახეთში მორბოდენ, აქ

36230

ეძლეოდეს გაჭირებით ცხოვრებას, რომ მის საშუალებით ოდონდ თავიანთის გასრწნილის და გათუჭებულის მებატონესავან თავი დაესსნათ. ყიფიანის წინ ბევრი ასეთი საქმეები ხდებოდა ხოლმე და ბევრი მასში დიდს მღელვარებასაც ახდენდა, მაგრამ რას იზამდა. მაინც ეს გულს არ იტეხდა და თავის კვალათ მეცადინეობდა და მოღვაწეობდა ისე, როგორც ყოველს რიგიანს ქართველს მოეთხოვება, რომელსაც თავის ქვეყნის ერის სიყვარული კუბოს კარამდისაც-კი მიჰყვება. ყიფიანი ამით სუფთა არის და უმაგალითო, ამან თავის ქვეყნის სიყვარული სხვებიეთ ჩინებზე და ორდენებზე არ გაცვალა, ფულებით და ანგარიშებით არ დაუწყო ზომა. ეს ყველამ კარგათ იცის. ასეთი კაცების საქმეები ყოველთვის ცხოველათ დაშთებიან და იღვაწებენ.

ყიფიანი იმერეთში დიდს გაჭირებაში იყო ჩავარდნილი და ბევრი უსიამოვნების ატანაც უხდებოდა, მაგრამ ამას მეტი გზა არ ჰქონდა. ურს ვერ იტყოდა, რადგანაც ქუთაისის გუბერნატორი იმ დროს ისეთი პირი იყო, რომელმაც რუსული ენა არ იცოდა, შთამომავლობით ისპანიელი იყო; მაგრამ დიდი განათლების მექონი და მართალი პირი, აი ამის გამო მიეცა რუსის მთავრობას ამისთვის ადგილი. ამ პირთან ფრანგულათ ლაპარაკობდა ყიფიანი, ამის მეოხებით ფრანგული ენა უფრო უკეთ შეისწავლა. იმერეთში-კი არა და ფრანგულის ცოდნა ქართველებში თვით თფილისშიაც-კი იშვიათი საქმე იყო. ყიფიანს აქ წელიწადში 400 მ. ჰქონდა ჯამაგირი. საჭმელ სასმელიც თავის უფროსთან, მაგრამ მაინც ჰქონდა ისეთი ხარჯიც, რაც მას საქმეს უჭირებდა და 400 მ. ვერ ჰყოფნიდა. ეს მეცადინეობდა თფილისში გადმოსვლას, მაგრამ მოახერხა გადმოსვლა, მაგრამ უფროსმა არ გაშოუშო. ჯამაგირი მოუმატა და დიდის მაძაშვილობით სთხოვა იქ დარჩენა, დარჩა მცირე ხანს. 1837 წ. კი მაინც გადმოვიდა თფილისშიც. ეს მსახურებდა

Должность правителя канцеляріи და რედაქტორათ „Тифлисскія Вѣдомости“-სა. წელიწადში 750 მანეთად. იმერეთს გამოსცილდა დ. ყიფიანი, მაგრამ არც აქ ჩავარდა კაი დღეში. აქაც დიდი დაკი დარაბები იყო ატესილი და ამ დაკიდარაბების გამო სშირათ მიდიოდენ მასთან საქმის საკითხავათ. ნამეტურ ამ დროში მეტათ ატესილი იყო თავად აზნაურობის შესახებ ქალალდების ძებნა. ბევრნი აქ ტყუილ ქალალდებსაც აკეთებდენ და მის საშუალებით იმტკიცებდენ თავადობას და აზნაურობას. ამის გასარკვევი კომისია საქართველოში 1818 წ. დაარსდა, მაგრამ ესენი მაინც ვერას აწყობდენ, რადგანაც საქმეები ერთობ დიდი ჭჭონდათ, გარდა ამის მცოდნე სალსის ბოვნა იშვიათი იყო. ყიფიანს ბევრი ასეთი საქმეების გარკვევა მოუხდა და დაკი დარაბა. ეს ამის მეოსებით იურიდიულს განვითარებაშიაც გამოიწურთნა და ეს თავის დროს შესანიშნავ მცოდნე პირათაც იქმნა წოდებული. ეს პირი რომ არ ყოფილიყო, მაშინ აქ ბევრი სისხლის ღვრა მოსდებოდა ამის გამო. მართველობამ გამოაცხადა: ვინც დამტკიცებულს საბუთს არ წარმოადგენს თავის კეთილ შობილობაზე, ის უსათუოთ გაგლეხკაცდებაო. მოწმობები კი ჩვენში ბევრს არა ჭჭონდათ, ნამეტურ იმერეთში. აქ აზნაურები ასე იყვნენ, რომ მეფე სიტყვით მისცემდა ბევრს აზნაურობას, მამულს აჩუქებდა და ეს ამის შემდეგ აზნაურის შვილი იყო, ასე იცნობდენ. მაგრამ დრო შეიცვალა, აქაური აზნაურის შვილების ცნობა საიდან შეაძლო. რუსი მთავრობასა და მცოდნე კაცები თუ იყვნენ, ესენიც ისეთ ქრთამებს იღებდენ, რაც ბევრის ღარიბის აზნაურისთვის შეუძლებელი იყო მის გადახდა. ამისთანა დროს დ. ყიფიანი სწორეთ მანანათ ჩაითვალა. ამ საქმეების დაკი დარაბა ისე ქართლსა და კახეთში არ იყო ატესილი, როგორც იმერეთში იყო გამწვავებული, აქ ოთხელი კაცი აზნაურის შვილათ იყო გამხდარი. ვისაც-კი უფრო ბატარა მეტი გამჭრიახობა ჭჭონდა და

ავაზაკობა, ყველა ესენი აზნაურები იყვნენ, ნამეტურ უკანასკნელს დროს, სოლომან მეფის დროს, მთელი იმერეთი გაიგსო ცუდულელა და მუქთი ულაშია თავად-აზნაურებით, რადგანაც იმერეთის მეფე სულ უბრალოთ ჰყიდა აზნაურის ღირსებას. მაგალითად როგორც ერთ გაიძვერას ერთ მინის ლიტრის გამოუბოძა აზნაურობა და გლესები და ანუ როგორც ერეკლე მეფემ ერთ კაჭარს, სომეხს, 50 მ. სალირალის გამო დაულოცა თავადის შვილობა. იმერეთში მთავრობამ მხოლოდ თერთმეტი გვარი თავადების იცნა ნამდვილ თავადათ, ისიც რომელთაც სოლომან მეფის თხოვნაზე ხელი მოეწერათ რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლაზე. ყიფიანი როგორც სხვა-და-სხვა საქმეებით ესმარებოდა ქართველებს, ისევე ამიტი, ყველას აშოშმინებდა, რომ მოითმინეთ, მოითმინეთ, საქმე გაირკვევა და დასამტკიცებელი დამტკიცდება, არავის არაფერი ჩამოერთმევა, ამან ბევრი ტყუილი წერილებიც-კი გაუქმა თურმე, ეს იმითი ხელმძღვანელობდა, რომ ვინმე ძველ კაცებს ნახავდა ხოლმე და იმათ ჰკითხავდა ბევრთ ასათ გამოსულ კეთილ შობილთ გვართა ტნობებს. ამ ჩსენებულს სამართველოში ყიფიანი კარგა ხანს დარჩა და აქაც ისევე ბრწყინვალეთ წაუვიდა საქმე, როგორც სხვაგან. აქაც ისევე გამჭრიახეთ იქცეოდა, როგორც სხვაგან. როგორც იმერეთში. 1837 წ. გურიაში მოხდა ხალხის აღრეულობა. მათ სასტიკათ აწუხებდა შინაური ბატონი, თავადი, აზნაური და სხვანი, ესენი ართმევდენ ყველაფერს, რაც-კი გაჩნდა გურულს გლეხს ყველაფერი გურიის კეთილ შობილთ შვილების გასლდათ!

ხალხი აჯანყდა, იმიტომ-კი არა, რომ ჩვენ ხარჯის გადახდა ჯერ გვინდა; არამედ, იმიტომ რომ არ შეგვიძლიან, სულს იქით რაც-კი გვაბადია ყველა ბატონს მიაქვს, ჩვენ თითქმის ნახევარზე მშიერები ვართ და აბა სიდამ რა უნდა გადავიხადოთო. დ. ყიფიანმა კავკასიის მთავარ მართებელს 1841 წ.

თურმე ამის შესახებ მოხსენება მისცა და ყველა მიზეზები კარგათ აუხსნა, ეს მით უფრო შეეძლო მას, რადგანაც ბუნტის დროს ეს დროებით ოზურგეთშიაც იმყოფებოდა. ყოფიანმა მოახსენა, რომ ამ ხალხის გაძტეუნება არ შეიძლებოდა, რადგანაც ჩვენგან იგი უფურადღებოთ არის დატოვებულიო. ჩვენ იქ ორათვერი შეგვაქვს, ორათვერს ვსარჯავთ და სარჯს-კი დიდს ვადებთო. მთავრობას აქ სულ 600 მ. ესარჯება და აბა ახლა ნახეთ წელიწადში რა სარჯს აწერს ამ ხალხსაო. ისიც კისა, შეუძლო გლეს კაცობას, რომელსაც თავის სულს გარდა ორა-ორათვერი გააჩნია და ყველათვერი ბატონის საკუთრებას შეადგენსო. რიგია, რომ ეს ხალხი მოსვენებით დაშთესო, რადგანაც რუსეთის წინაშე ამათ დიდი ერთგულება მიუძღვისთო და ხშირათ ესენი თავიანთ მხარეს ურუსის ჯარითაც-კი ინახავენო. ამის მაგალითები ბევრია. მთავრობამ ყოფიანის მოსაზრება კანონიერათ-იცნა, მაგრამ რომელ ერთ მხარეში დაინახა ამის მოხსენება კანონიერათ. ყველათვერში და ყოველთვის. ამ დროს, თფილისში მთავარ მართებლის გასკარგულებით მოიწადინეს საუმაწვილო თავშესათვარი ხალხის გაკეთება. ამისთვის რასაკვირველია საჭირო იყო მცოდნე პირი, რომელსაც უნდა ამ საქმის ვითარება აეღო, დაეღო, ხასლისთვის მოემზადებინა კეგში და ბოლოს წარედგინა მთავარ მართებელთან. ამან შეადგინა და წარუდგინა მთავრობას და დასძინა ისიც, რომ ამ დროს თფილისში ასეთი ხასლის გაკეთება აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა, ამაკე დროს საქართველოში დაინიშნა ერთი პატარა რჩევა, სადაც გლეხკაცობის და ბატონების საქმეებს არჩევდენ, უფრო სარიგრებს-კი, რადგანაც იმ დროში მებატონესა და ყმის შორის ხშირი იყო სარიგარი.

ამ დროებში დ. ყოფიანმა სხვა-და-სხვა თანამდებობათა აღსრულებას გარდა ქართულ-ენაზე მწერლობის საქმესაც მოჰკიდა ხელი. ამ დროს თფილისში აქა იქ თითო-ოროლა ქარ-

თეული ეკლესიებიც მოგროვდენ და ამათ შეადგინეს პატარა წერა ქართველთ მოუკარეობისა, სადაც სხვათა შორის იჩიცხებოდენ: დ. ყიფიანი, ვ. იოსელიანი, ნ. ბარათაშვილი, ალ. ორბელიანი, კოსტ. მამაცაშვილი. გრ. ორბელიანი და მრავალნიც სხვანი, იმ დროის გამოჩენილთ პირთ შვილები. ამ პირებში ერთათ ერთი აზნაურის შვილი ერია, ეს იყო დ. ყიფიანი. ერთის მხრით ამათ შიშიც ჰქონდათ და 1832 წელი აგონდებოდათ. ამ დროს თითო ოროლა ქართველთა მშობლიურს ენაზე დაიწყეს სხვა-და-სხვა ენებიდამ ქართულს ენაზე გადმოთარგმნა. დ. ყიფიანს ამ დროს გადმოუთარგმნია ფრანგულის ენიდამ შექსპირის დრამა „რომეო ჯულიეტა“ რომელიც კარგა ხნის შემდეგ 1858 წ. „ცისკარში“ დაიბეჭდა. ნიკ. ბარათაშვილს უთარგმნია ლეზეკეიტის ტრაგედია „იული ტერენტელი“ და სხვებსაც კიდეკ მრავალი სხვანი, რომელთა ნაწერებმაც ჩვენ დრომდის ვერ მოაღწიეს. ესენი მარტო თარგმანს არ დასჯერდენ. ამათ ძრიელ ანალვლებდათ საქართველოს ისტორიის უქონლობა. ამისთვის ნაღვლობდენ, ეგონათ, ეს რომ შეკადგინოთ, მაშინათვე წაკვლთ წინო. ამისთვის ერთ სალამოს დანიშნეს კრება ერთ სახლში და ბევრის ლაპარაკის შემდეგ გადაწყვიტეს ქართულს ენაზე საქართველოს ისტორიის შედგენა. ნაწილ ნაწილ გაიყვეს და ქრისტეს წინა დროების ისტორიის დაწერა ვ. იოსელიანს არგუნეს. დ. ყიფიანისთვის-კი უფრო უახლესის დროისა, ქრისტიანობის მიღების და შემდეგ მეთერამეტე საუკუნისა. ჩვენ არ ვიცით, თუ დაპირება როგორ აღასრულეს ამათ, დასწერეს თუ არა. როგორც ამის შესახებ არაფერი ვიცით, ისევე იმისი, თუ დ. ყიფიანმა რა დასწერა და ან თავის დანაწერი რა უყო. არც ის ვიცით, თუ 1838 წ. რომ ეს გადმოვიდა თფილისში და სხვათა შორის თფილისის უწყების რედაქტორობაც მიანდეს, ამან ამ გამოცემის საქმე როგორ წაიყვანა, მასში სწერდა რამეს თუ არა, რამდენი ხა-

ნი განაგრძო მის გამოცემა და ან რიდის დაანება თავი. ამაზე არც თვითონ დ. ყიფიანი სწერს რასმეს.

რაც დრო გადიოდა, მით საქართველოში დავა დარაბებიც წინ მიდიოდა და ყოველი უბრალო საქმე ერთ კაი ვაგლახსა და დაღუშვას იწვევდა. თავად აზნაურობის მეძიებლებმა ხომ საქმე გააჭირეს და ადარ იცოდენ ამათ რა ექმნათ. საუკუნოების განმავლობაში არ დაგვიკარგავს ეს ჩვენი ღირსება და ასლა დავკარგოთო. რასაკვირველია ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ამ დროს გამოცხადდა ზოგი ერთი თავად აზნაურების გვარების დამტკიცების ცნობები. დ. ყიფიანმა თავად აზნაურების შესახებ წერას სელი მოჰკიდა და იმ დროის მთავარ მართებელს წარუდგინა, მთავარ მართებელმა ამის თხოვნა შეიწყნარა. მეორედ თავად აზნაურთა გვარების გასარკვევი კომისია შეადგინა, რომელთაც ყველაფერი დედა ბუდიანთ უნდა გაერკვიათ. ამავე დროს ყიფიანმა დაიწყო წერა, რომ საქართველოში გლეხთა განთავისუფლების ხმები დადისო და გლეხკაცებს ძრიელ უხარიანთ ესაო. სანატრელი იქმნება, რომ ეს საქმე მოხდეს და გლეხი ხალხი თავად აზნაურობისაგან გათავისუფლდესო. ამან წესდებაც-კი შეადგინა იმის შესახებ, თუ ქართველი გლეხების გათავისუფლება როგორ უფრო სასარგებლო და შესაძლებელი იქმნებაო. ამ დროს გამოიცვალა მთავარ მართებელი და 1845 წ. დამდეგს დაინიშნა და საქართველოში მოვიდა ვორონცოვი. ამის მოსვლა ქართველებისთვის ახალ ხანათ იწყება, მხოლოდ როგორათაც ქართველებმა რუსეთან შეკავშირებით ვერ ისარგებლეს და ვერ გამოიყენეს, ისევე ამ პირის მოსვლით ვერ ისარგებლეს, ახალ მთავარ მართებელმა მოსვლისათანავე საქართველოში ძრიელ ბევრს საქმეებს მიაქცია ყურადღება, ყურადღება მიაქცია აგრეთვე ყველა იმ ქართველ პირებს, ვინც-კი პატიოსანი და რიგიანი იყვნენ. ვორონცოვმა დაიახლოვა ალ. ჭავჭავაძე და დ. ყიფიანი. ნამეტურ დ.

ეიფეანი. ალ. ჭავჭავაძეს სიკვდილი მალე ეწვია. ეს გარდაიცვალა 1846 წ. ამის სიკვდილის შესახებ დ. ყიფიანის წერილია დაბეჭდილი „ზაკავკასი ვესტნიკში“.

შესანიშნავია დ. ყიფიანის ისიც, რომ მაშინდელს მთავარ მართებელს ეს მარტო სიტყვით-კი არ აცნობდა ქართველთა მდგომარეობას, არამედ ბეჭდვითაც. მაგალითად 1848 წ. „კავკაზში“ ამან დაბეჭდა საქართველოს მდგომარეობა, თუ რა გვარ მდგომარეობით დასდა რუსეთს ჩაბარების დროსა, შემდეგ როგორ წარემართა ამათი საქმე, როგორ აიო დაირია ქართველთ ოჯახური საქმეების წეს წყობილებანი და უკანასკნელ მას რა გვარი დარღვევა და უძლურება მოჰყვა ქართველებისთვის. ეს წერილები დიდის სიამოვნებით იკითხებოდა იმ დროების ქართველობაში.

კარანტოვს დარჩა მხოლოდ დ. ყიფიანი. დ. ყიფიანმა კარანტოვს ბევრი რამის საჭირობა ამცნია, ამცნია ქალების სასწავლებლისა, რომლის წესდებაც შეუდგინა და გარდასცა. ამ სასწავლებლის დარსების გამო დიდათ იშრომა ყიფიანმა, მას ბევრი ამაგი მიუძღვის. ამ სასწავლებლის დაარსება საქართველოში ბირველი მაგალითი იყო, და ამიტომ ძრიელ უსარგოდ მას, ამ საქალებო სასწავლებლის გახსნა თავის სიასარულათ მიაჩნდა. ამის გახსნის დროს სიტყვაც წარმოსთქვა. მის ამბებიც ასწერა და რამდენიმე ხნის შემდეგ იქ მოსწავლე ქალებთა მასაძღვნელათ რუსულს ენაზე წმ. ნინოს ცხოვრებაც დაბეჭდა. ამას გარდა კარანტოვს მან ამცნია სამეურნო საზოგადოების დარსების საჭიროება, სამოქალაქო უბრალოების, ხასლების შენობის და კის იცის კიდევ რამდენი სხვების, რომელთა ცნობები ჩვენ არა გვაქვს. მაგრამ ყველაზე უფრო მთავარ საჭირო თხოვნას ამისას ის შეადგენდა, რომ დაარსდეს ისეთი სამართველოვ, რომელთა საშუალებითაც ქართველთ თავად აზნაურთა გვაროგრული საქმეები გაირკვეს და სამოდამოთ მოარჩეს ათას ნაირი

დაკვა დარჩებაო. ამას წადილი აღუსრულდა და 1846 წ. თფილისში და ქუთაისში დაფუძნდა საზოგადოებანი, რომელთაც უნდა გაერკვიათ თავად აზნაურების საქმე. ამ სამართველოში ერია დ. ყიფიანი და ერთიც სხვა რუსი. მთავარ მართებლის ბრძანებით ყიფიანს მალე მიანდეს მთავარ-მართებლის სამართველოს დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელის ადგილი. ქართველებს უგვიარდათ, მაგრამ აქ საგვიარველი რა იყო, ყიფიანი ღირსი იყო პატივისცემისა და მას პატივიცა სცეს. ამავე დროს, ზემოხსენებულ საზოგადოებისთვის ყიფიანსა და ერთ რუსს ორი წესდება მიანდეს შეედგინათ, რომ ამათის წესდების მიხედვით ემოქმედნა ახალს კომისიას და ისე განეგო თავად აზნაურების საქმეებზე. შეადგინეს ორივემ და მალე წარადგინეს. წესდება განიხილეს და ყველას ყიფიანის შედგენილი წესდება მოეწონათ. მეორესი-კი ვერაფერათ. მეორე რუსი იყო, ამან ყიფიანის მტერობაც ჩაინერგა გულში, მაგრამ რას გააწყობდა, დიდი კამათობა-კი მოუხდათ. ამან დასწამა ყიფიანს, რომ შენ ისეთ ზომებით ადგენ შენს წესდებას და ისეთ საშველებებს ამბობ, რაც რუსეთის-სასეფეროდ ინტერესებს არ შეეფერებაო! ე. ი. შენ, ქართველ თავად-აზნაურობას ისე ამალებ თავის მნიშვნელობითაო, რომ იგინი ბევრათ მაღლა სდგანან რუსეთის თავად აზნაურობაზეო. მე ამას ვერ მოვითმენ, ჩემი პატრიოტული გული ამას ვერ აიტანსო. ეს სასტიკ კამათობას უწევდა ყიფიანს, მაგრამ ყიფიანმა მაინც იგი დასცა. საქმე ისე მოიმართა, რომ ამ კაუბატონის შედგენილი ინსტრუქცია ყიფიანს გარდასცა ვარანტოვმა განსასილველათ. უამისობა არც შეიძლებოდა, რადგანაც ვარანტოვმა თითქმის ყიფიანის დაკლადების მეოსუბით დაარსა თფილისში და ქუთაისში კომისიები. ყიფიანი სწერს: პირველი მაგალითი იყო ჩემს ცხოვრებაშიო, რომ მე რუსის ჩინოვნიკის წინაღმდეგ ბრძოლა მოუხდაო. ეს სსენებული რუსის პატრიოტი დიდი მოქართმე და

ფულების მოუკარე იყო. ამან მიიმხრო მრავალი რუსები და შეერთებულის ძალით ესენი ქართველობასაც მტრობდენ, მაგრამ ვერაფერს აწყობდენ. ყიფიანს ბევრნი აშოშმინებდენ და ასმენდენ ასეთ ბირების ყალთაბანდობას. ასეთი ბირების მტერობა ყიფიანის წინააღმდეგ დიდი იყო, მაგრამ იგი მაინც თავისუფლათ განაგებდა ვარანტოვის აქ ყოფნამდის. 1850 წ. ამან ვორონტოვი ნათლათ დაარწმუნა ქართველების სანდო ყოფა ცხოვრებაზე და ამათვის საქართველოს დედა ქალაქ თფილისში თიატრის დაარსება დაავალა. ეს მალე მოხერხდა. თიატრის დაარსებასთან ყურნალ „ცისკრის“ დაარსებაც მოჰყვა, რომელიც აგრეთვე ვორონტოვის დახმარებით იქმნა მთავრობისაგან ნება დართული და დიმ. ყიფიანი რომ არ ყოფილიყო, მაშინ ვერაფერი მოხერხდებოდა, რადგანაც მთავრობა რამე გამოცემის ნებართვას არ აძლევდა, დიდათ ეშინოდათ. 1832 წ. აგონდებოდათ, მაგრამ ამაზედაც ყიფიანმა დაარწმუნა მთავარ სარდალი და საქმე ისე მოიმართა, რომ ყურნალს მთავარ სარდალმა დახმარებაც აღმოუჩინა. ამ ყურნალის გამოცემა დიდათ გაეხარდა ყიფიანს და აღარ იცოდა რა ექმნა მეტის სიხარულისაგან.

1853 წ. „კავკაზში“ დაბეჭდა ამან ქართველ კეთილშობილთ წოდებათა არზები. სადაც ლაზათიანათ სჯის ბევრს ჩვენებურს საქმეებზე. ეს წერილი თვით იმ დროის მთავარ მართებლისთვისაც-კი გახდა საყურადღებოთ. ამის შემდეგ 1854 წ. დაიბეჭდა ამის წერილი „თამარ მეფის საუკუნე“ სადაც ბევრი რამ საინტერესო ცნობებია მოყვანილი და მსჯელობანი. აქ ქართველები თავიანთის განათლებით და მწერლობით გვარიანათ არიან აღწერილნი და თავიანთ დროის კაცათ ქებულნი. ამან მოურიდებლივ დაიწყო ქართველებზე წერა და ამავ დროს დაბეჭდა „კავკაზში“ საქართველოს ისტორიის მასალები, შიგ საინტერესო ცნობებია შეტანილი. 1854 წ. ამან მიიღო დეისვიტელნი სტატისკის საგეტნიკობა და საკმარისი ჯალოვი. მთავარ

მართებული დიდს პატივს სცემდა ამას, მაგრამ აქ მას დიდ ხანს არ მოუსდა ყოფნა, ეს გადიყვანეს საქართველოდამა და ყიფიანი ობლათ დარჩა თითქმისა. ასალი მთავარ მართებელიც საკმარის პატივს სცემდა. 1855 წ. ხელმწიფე გარდაიცვალა და სამეგრელოს დედოფალი პეტერბურგში წავიდა, ხელმწიფის დასათლაებაზე. ამ დროს აჯანყდენ სამეგრელოს გლეს-კაცები. მართველობას შეეშინდა, ამ დროს ომი იყო და მეგრელები თათრების მსარეს არ გადვიდენო. საჩქაროთ ყიფიანი გაგზავნეს სამეგრელოში მზვერავათ, რომ შეეტყო მეგრელების ჭაზრი, ნამეტურ მთავრების, რომ ესენი თათრების მსარეს ხომ არ გადავიდოდენ. ყიფიანმა გაიცნა მეგრელთა აჯანყების კითარება და მთავარ მართებელს წარუდგინა, რომ ტყუილათ შიშობთ და რალაცაებს ჭფიქრობთ ამ ყოველთა პატიოსანთ ხალხზეო, რომ ვითომც ესენი თქვენ გიღალატებენო, ამათ თქვენ მაშინაც-კი არ გიღალატეს, როცა ესენი მარტოთ მარტონი იცავდენ თავიანთ თავსა და თავისუფლებას თავიანთ მტრის წინაშეო. აჯანყების შემდეგ მთავრს შვილიც რუსეთში წაიყვანეს და მთელი მისი მამულებიც მთავრობამ ჩაიბარა საპატრონოთ. ამ დროს, ხელმწიფის დაგვირგვინებაზე რუსულათ ერთი ლექსთა კრება გამოვიდა, ეს ლექსთა კრება ამან ქართულათ სთარგმნა და თფილისში ცალკე წიგნათ გამოიცა, რომლის ერთმა ეგზ. ვერ მოალწია ჩვენამდის. შეკვიტყე, რომ ეს ლექსთა კრება მას მთავარ მართებლის თხოვნით უთარგმნია, — „ეარს ხომ ვერ ეტყოდიო“.

საზოგადოთ დიმ. ყიფიანი ყველა მთავარ მართებლებთან ისე იქცეოდა, რომ უკეთესი ოსტატობა ალარ შეიძლებოდა. ეს ასე იქცეოდა უფრო მიტომ, რომ მათან ხმა და გაგლენა მქონდესო. როცა რამე ვსთხოვო ალმისრულონო. ამან ისე დაყენა საქმე, რომ მურავიოვმა 1856 წლის ნახევარს, ყიფიანი დირექტორათ დაინიშნა. ყიფიანის სიტყვა ამას ძრიელ სწამ-

და. ამას ენდობოდა, სხვა არავის, მაგრამ ოთხი სუთი თვის შემდეგ უმაღლესის მთავრობისაგან მურავიოვს ყიფიანისთვის საამართველოს დირექტორათ დანიშვნაზე უარი მოუვიდა. ყიფიანს ძრიელ სწყენიოო ეს, მაგრამ რას იზავდა, მიზეზ მაშინათვე მისწერა, რომ 1832 წ. შემოხვევა უნდა იყოს და ვოლოგდის გუბერნიაში ყოფნაო. მთავარ მართებლისთვისაც ეთქვა ესე, მაგრამ მას მაინც ეურადღება არ მიექცია და დაეწყო ჯავრობა, რომ „მაშ მე რიდას მთავარ მართებელი ვარ კავკაზიის, თუ-კი ჩემის ნებით დირექტორის დანიშვნაც არ შემეძლებაო“. მურავიოვი მეტათ ცხარე კაცი იყო, მაგრამ მართალი გენერალი, ამან ბევრი რამ ცვლილება მოახდინა ჯ. მაგალითად თიატრის არათ მეტრეფალე იყო, ვორონცოვისაგან დადგენილი რუსული და ქართული თიატრი ამან მოსპო. ყიფიანმა თურმე ბევრჯერ სთხოვა, რომ ქართულს თიატრს ნუ მოშლითო, მაგრამ მან არ შეიწყნარა. ამან გაოცებით უთხრა: დიმიტრი! თქენგან არ მიკვირს, რომ თიატრს თქვენ მაგრე უცქერით. აბა დაისადეთ თავზე თუ რამდენი სხვა რამეები არ გაკლიათ, სკოლებს თქვენ არა გაქვსთ და სხვანი. რა დროს ეგ არის. ყიფიანს თურმე იმ დროის აქტიორები აკალებდენ, რომ რამე ნაირათ გვიშველე და ასლად დაარსებული საქმეს ნუ მოგვაშლევინებო. მთავარ მართებელი ძალიან პატივს სცემდა ყიფიანს და ამიტომ სთხოვა თურმე, თორემ ვერ სთხოვდა, ერთხელ მთავარ მართებელს ეთქვა: დიმიტრი! მე შენის მეტი კაცი ვერ ვნახე აქ, მე შენი დაკლადები ძრიელ მომწონს. შენ გცნობია ეს მსარეც, მის ერიც და ამ ერის ვითარებაც. მე უშენოთ ვერ გაკეთებ აქ, შენ ხარ ჩემი მარჯვენა მკლავი. ასე ეპყრობოდა ყიფიანს ის სასტიკი კაცი, რომელმაც თავის მოსულობისთანავე მრავალს სამართველოებიდამ თავსმჯდომარეობიდამ დაწყობილი ბევრი დიდი კაცები დაითხოვა სამსახურიდამა, ყველგან დიდი ცვლილება მოახდინა. გამოაცხადა საქვეყნოთ, რომ მოქმა-

შეებს მე დავსჯი ისე, როგორც კაცის მგველსო, რამდენ უწესო მოხელებს ზდრუზა თვით მუშტები და სილები, ძველის მთავარ მართებლისაგან შედგენილ ადუტანტებთ გუნდიც დაშალა. მურავიოვს სასტიკათ სძულდა მაშინდელი აქაური მოქრთამენი, არ იცოდა ამათვის როგორ ეგნო.

ამათზეა ნათქვამი

„სამართალსა თუ ლით ვეწრიდით, ეროშისათვის ძმას გავიდეთ. ჩვენი ჯიბე ვტენეთ, ვტენეთ, ისე მოვბეზდით, ვერ გავტენეთ.“

ვერც ერთ საქმეს ვერ გადასწყვეტდა მთავარ მართებელი, რომ იქ ყოფიანი არ ჭყოლოდა. ხანდისხან შუაღამისას გაგზავნიდა ყოფიანთან თავის კარეტას, თავის თოფილს თულუფს და დაიბარებდა, რომ აბა, სახჭაროთ მოდი, საქმე არისო. „ცისკრის“ რედაქტორმა ივ. კერესელიძემ მითხრა:—„ცისკრის“ პირველ ნომრის კორექტორს ვასწორებდიო, მე მშველოდა დ. ყოფიანიო, ვნახოთ, რედაქციაში მთავარ მართებლის ეკიპაჟი და კაცი მოვიდა, თან თოფილი პალტო მოეტანათ და მაშინათვე წაიყვანესო. ყოფიანმა ბევრი ეთიელი საქმეები გააკეთა ამ დროს ქართველთა სასარგებლოთ და ერთ ეთიელ საქმეთ ისიც ჩაითვლება, რომ 1856 წ. კავკაზის მთავარ მართებლის დასმარებით უმაღლესმა მთავრობამ ბ. ივ. კერესელიძეს ეკალად მისცა ნება „ცისკრის“ განახლებასა. მთავრობა ქართველს ენაზე რამე დრო გამოცემითი რამის დაარსებას ერთობ ეშვის თვალით უმზერდა, რადგანაც 1832 წ. აგონდებოდათ, მაგრამ ყოფიანის და ასეთი კაცების თავდებობით მთავარ მართებელმა უმაღლეს მთავრობას დაუმტკიცა, რომ ნურათვრის ფიქრი ნუ გაგვსდო. ჩვენ ვიგისრებთ პასუხის გებასო.

„ცისკრის“ დაარსების ერთ უმთავრეს მოთავეთ აუცილებლათ დ. ყოფიანი უნდა მივიღოთ. როგორც განათლებულ პირს, ამას უფრო ესმოდა ამ საქმის საჭიროება და ისიც ენატრებოდა, რომ ეს ყურნალი უეჭველათ მეცნიერულის მიმართუ-

ლებით დაარსებულ იყო. ეიფეანი ამბობდა: მეცნიერული ჟურნალი ჩვენთვის დიდს საწირობას შეადგენს, რადგანაც ჩვენ საერთოთ უმეცრებაში ვიხრჩობითო, სოლო ეს სამეცნიერო წერილები ძრიელ მდაბიურის ენით უნდა იწერებოდესო და ამას მართველობაც სანდოს თვალით შეხედავსო. 1856 წ. ამას ჟურნალის პროგრამაც მოემზადებინა. დანიშნულს დღეს ერთ კრებაზედაც წარადგინა და წაიკითხა, მაგრამ ჭრებას შეშინებიყო. კაი თუ ნება არ მოგვცენო. რის ნება არ უნდა მიეცათ, მის, რომ პროგრამაში მოხსენებული იყო სხვათა შორის: კარსკვლათ მრიცხველობა, ფიზიალოგია, ანატომია, ექიმობა, მეურნეობა, ისტორია და პოლიტიკა. სხვას მიანდეს შედგენა და შემდეგ ეს მოიწონეს, რომელიც წარდგენილ იქმნა მთავრობასთან დასამტკიცებლათ. ეიფეანს ეს სულაც არა სწყენია და სხვის შედგენილს პროგრამას სიამოვნებით მიგებებია, პატიოსანი პირისაგან რასაკვირველია ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

ამავ წელს ეიფეანი ათხაზეთში იქმნა გაგზავნილი, შესატყობლათ იმისი, რომ ვინიცობა არის ოსმალომ იმძლავროს, მაშინ ჩვენ შარვაშიძე ხომ არ გადგვიდება და ოსმალოს ხომ არ მიემხრობა. ამან საქმეები გაარკვია და მთავრობა დაარწმუნა, რომ თქვრა ნუ გაქვსთ, შარვაშიძეები იმ დროსაც-კი რუსის მომხრენი იყვნენ, როცა იგინი ოსმალოს გაკლენის ქვეშ ითვლებოდენო. ესეეე გაგზავნილ იქმნა მეორედ გურიაში საქმეების გასარკვევათ და გამოსაძიებლათ. გარდა ამის, ამას უნდა წარედგინა მთავარ მართველისთვის ის, თუ გურიაში რა გვარათ უნდა მოვახდინოთ რამე ცვლილებანი. ამ მხარეს მართველობა დიდს ყურადღებას აქცევდა, რადგანაც ეს მხარე რუსეთისა და ოსმალოს სამზღვარზე მდებარეობდა. ამან ყველგან თავისებურათ დატრიალდა და ყველგან თავისებური რეფორმები მოახდინა. ამ დროს ძველი მთავარ მართებელი გადიყვანეს რუსეთში და მის მაგიერ დანიშნეს თ. ბარათინსკი. ახალი მთავარ

მართებელმაც იცოდა დ. ყიფიანის საქმე და ესეც მეტის მეტი პატივით ეპყრობდა დ. ყიფიანს. ამან მოსკოლისათანავე ყიფიანი თავის საკეტის ჩლენათ დანიშნა: ასალ მთავარ მართებელს დ. ყიფიანს გარდა ძრიელ პატივ სცემ პირათ მიაჩნდა გრიგორ ორბელიანი, მოსკოლისათანავე ესენი დაიასლოვა მან. ამ დროს ძრიელ გამწვავებული იყო საქართველოში ბატონყმობის საქმე, ამის გასარკვევათ და რამე ნაირი ცვლილების მოსახდენათ ასალი რჩევის შედგენა ზემო ხსენებულს ორს პირს მიანდო, რომ ამათ შეედგინათ წესდება და გარდაეცათ მისთვის, რომ მას ე. ი. მთავარ მართებელს ამით ეხელმძღვანელა და ისე ემოქმედნა. ამათ შეადგინეს წესდება და წარუდგინეს მთავარ მართებელს, მთავარ მართებელს ამათი მოსაზრება ძრიელ მოეწონა და მის თანხმათ უმაღლეს მთავრობას თხოვნაც მისცა, რომ გლეხებში რამე ცვლილება მოეხდინათ, მაგრამ ეს ველარ მოხერხებულა, რადგანაც რუსეთში ბატონყმობის მოსპობის საქმე მზადებოდა. რა იყო ეს წესდება და რა გვარათ შეადგინეს ამათ და რას სთხოვდენ მთავრობას, რა ცვლილებას და სხვანი, ამის შესახებ ჩვენ არათერი ვიცით და ამიტომ მასზე არც შეგვიძლიან ვსთქვათ რამე. მთავარ მართებელმა ეს საკმარისად წასწია წინ და 1857 წ. პირველ იანვარს, ყიფიანს ჩინიც მოუვიდა. სტანისლავ I ს. მაღე მწვანე ლენტიც მიიღო. 1858 წ. ამას მიანდო მთავარ მართებელმა თავის ორის წლის მოქმედების ცნობების შედგენა; ყიფიანს ეს ერთის მხრით ემძიმა, მე როგორ უნდა შევადგინო, თქვენი მოქმედების მე რა ვიცი. მაგრამ მთავარ მართებელმა გაიბედვინა, ყველა ცნობებს მიიღებო. ყიფიანმა მოჰკიდა ხელი და შეადგინა. 1857 წ. პეტერბურგში ხემწიფის დაგვირგვინება უნდა ყოფილიყო, აქ სამეგრელოდან წავიდენ მთავრის ცოლი და შვილი, დაგვირგვინების შემდეგ ესენი იქედამ აღარ გამოუშვეს, რადგანაც ამათ იქ ყოფნის დროს სამეგრელს გლეხების აჯანყება მოხდა მეორედ.

გლეხები აჯანუდეს სხვა-და-სხვა შეკიწროების მეოხებით. მთავრის დედამ ითხოვა თავის მამულების დაცვა და ეს ადგილობრივ მთავრობას მიანდეს. მთავარ მართებელმა ყოფიანს მიმართა და ამას სთხოვა ზედამხედველობა იმათ მამულებისა. თუმცა ყოფიანი მთავარ მართებლის რჩევაშიაც იმყოფებოდა, მაგრამ მაინც უარი ვერ გაბედა, იკისრა. მთავარ მართებელს გარდა ყოფიანი მთავრის დედასაც მოუნდომა თავის მხრით მამულების დამცველათ, როგორც ნამდვილი ქრისტიანის.

საუბედუროთ დიმ. ყოფიანს აქ საქმე კარგათ ვერ წაუკიდა, ამან სხვებივით ვერ დაუწყო გლეხებს ტყვის ძრობა. ამის სხეული არ იყო ისეთ მოზადებული, რომ მას ისეც შესწუხებული გლეხები ეუკლიოთ გარდა ამისი ვერც იმ გლეხებს წაართო მამულები, რომლებიც მათ საგუთრებას შეადგენდა და მთავარი-კი ედაგებოდა რომ ჩემია. რასაც-კი ფლებდა ეს ყველა იმას მათ უგზავნიდა, მაგრამ მათ მაინც უკმაყოფილება შეადგინეს და ბოლოს დ. ყოფიანს ოცდა ათი ათასი თუმანი კალი დაადეს. გასაოცარი ამბავი იყო ესა, წარმოუდგენია. ამის საქმე პეტერბურგში გაარჩიეს და ყოფიანს დაადეს კისერზე, ამ საქმეს თვით ბარათინსკიც-კი მიამხრებს. ბარათინსკმა ყოფიანი დამნაშავეთ დაინახა და მალე თავის მოადგილეს, გრიგოლ ორბელიანს, პეტერბურგიდამ წერილი მოსწერა, რომ ყოფიანი დაითხოვეთ და მის ადგილს სხვა დანიშნეთ. ამ საქმის გამო დ. ყოფიანმა დაკარგა თავის ბანამდებობაც, მაგრამ რას იზამდა. ამან დაიწყო მეცადინეობა, რომ განთავისუფლებულიყო თავის თანამდებობიდამ, მაგრამ ალარავინ უშველდა, უნელებელს ტეტლში ჩავარდა. ამ საქმემ ყოფიანი ბევრნაირათ მოკაკვა და დაამაბუნა, მაგრამ რას იზამდა, ბოლოს როგორც იქმნა გათავისუფლდა, მაგრამ ტყუილის კალებით. სამწუხარო იყო და დიდათ სამწუხარო, რომ პატიოსნების წარმომადგენელ. ყოფიანი ასე უწყალოთ იქმნა გაკითხული და დასჯილი

დასჯილი მით უფრო, რომ ამის ჯიბესა და უბეს ხსენებულს მამულიდამ გროშიც არ მიჭკარებია. განა ასე უნდა ყოფილიყოს ასეთი პირის ასე დაჩაგვრა? ამ დროის „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი თარგმანი „რომეო ჯულიეტა“ და რამდენიმეც სხვა თარგმნები, ბაქარ ქართველის მოწერით. 1859 წ. ამან შეადგინა წესდება და წარუდგინა მთავარ მართებელს, თუ მას რა გზით უნდა შეეცვალა კავკაზიის მთავარ მართებლის სამართველოს წესები. ყიფიანმა ამით მშვენიერი პლანი მისცა. ამ დროს ყიფიანსა და ქუთაისის გუბერნატორს შორის დიდი უსიამოვნება მოხდა. გუბერნატორმა ყიფიანს დასწამა, რომ წელიწადში 13 ათასი მანათი შემოგდისო. ყიფიანი ამაზე გაწყრა. მთავარ მართებელმა დააშოშმინა. საქმე მაინც არ გაუთავეს ყიფიანს. 1860 წ. პეტერბურგში დაიბარეს, ცნობების ჩამოსართმევლათ. წავიდა, რას იზავდა.—„ჩემი ხელით მე გამოვიჭერ ყელი და სხვების ხათრმა დამღუპაო“—ამბობდა განსვენებული. პეტერბურგში დაჭყო რამდენიმე ხანი, მოისაქმიანა და დაბრუნდა საქართველოში. ამავე წელს ამან შეადგინა მთავრობის დავალებით აღწერა ადგილობრივ რეფორმების მოხდენის შესახებ. ამის შედგენა მით უფრო განიძრახა მთავრობამ, რადგანაც ამ დროამდის აქაური გლეხ-კაცები ხარჯს ფულის მაგიერ მოსავლით ხდილობდენ. ბევრნი ამტკიცებდენ, რომ ფულებით უნდა გადიხადონ. ამის მომხრეები იყვნენ მრავალნი. ყიფიანი წინააღმდეგი გახდა და ამან მშვენიერათ აღწერა აქაური გაჭირებული ხალხის მდგომარეობა და შეუძლებლობა. ეს ნამეტურ დაქმაგა კავკასიის მუსულმანებთა კითხვებს, რომელთა კითხვებსაც ბევრი რუსის ჩინოვნიკები ეწინააღმდეგებოდენ. ამათ უთხრეს ყიფიანს:—„შენგან მეტის მეტი უსდელობა არის, რომ ამბობ ეს მუსლიმანების სასარგებლო არ არის ესაო. შენ რა გესაქმება მაგათთანაო“ 1861 წ. ამან ბევრნაირის თვის ერთგულის თანამდებობის სამაგიეროთ მიიღო ჯილდო. ამ დროს ეს

უკვე ერთგულათ მოღვაწეობდა „ცისკარში“ სხვათა მრავალთა შორის ამ წლების ნომრებში დაიბეჭდა მისგან ნათარგმნი რომანი, ფრანგულის ენიდამ, ოქტავ ფელიესი: „ერთი ღარიბი კაცის რომანი“. უნდა შეკნიშნოთ, რომ დ. ყიფიანი თავის თანამდებობის დროს სულაც არ ერიდებოდა ის, რომ მე მართველობის კაცი ვარო და ქართულათ-კი კმწერლობო. ამ ჭაზრის ბევრი ქართველი იყო იმ დროსა. 1860 წლებში-კი არა და დ. ყიფიანმა 1848 წლებში დაიწყო ქართველების შესახებ რუსულათ წერა „ о состояніи имѣній въ грузій“ სადაც პირნათლად ლაპარაკობს ქართველების მამულს დედულებზე, თუ რა მდგომარეობაში იყო 1802 წ. როცა რუსეთი შემოვიდა, როგორ დახვდათ მათ ეს მამულები, ან და ბოლოს როგორ წავიდა ამ მამულების პატრონების საქმე, განსაკუთრებით დაცემაზე, კალებზე და სხვანი. როგორც წერაში იყო ეს, ისევე ლაპარაკში, მაგრამ ყველაფრის ყურის დამგდები, ყველაფრის მომთმენი და ამტანი. თვით სწერს. რომ 1850 წლებში მე ქართველებში ჭებით მიხსენებდენ, როგორც მომთმენი ქართველიო. რაც გინდ გაეჯავრებინა ეს კისმეს, მაინც იმდენ სულ გრძელებას გამოიჩენდა, რომ ყველაფრის თქმას დაუცლიდა და ბოლოს თვითონ მისცემდა პასუხს, მაგრამ როგორ პასუხს, წმინდა დარიგებას, სწავლას, ახსნას, მითითებას და სხვანი. ეი ამ ღირსების გამო მიუძღვნა მას დაკითაშვილმა.

„დარიგება მამა ძმური, დიმიტრი ყიფიანსაო,
დიდათ ნაშრომი მოხუცი, ასრულებს კაცურს კალსაო“.

ჭეშმარიტათ, რომ ეს კაცურს კალს ასრულებდა და ამ კაცურის მოკალეობის გულისთვის მას ერთი წარბიც არ შეუხრია კიდრე ცოცხალი იყო. არ შეუხრია მიტომ, რადგანაც უბრალოთ და უკანონოთ ეს არსად და არას დროს არ მოქცეულა. ამ ღირსებით დარჩა დიმიტრი ყიფიანი თავის სიკვდილის დღემდის და მან ქართველების გლადსტონობა დაი-

მტკიცა. 1862 წ. ეს სხვა-და-სხვა მიზეზების გამო სამსახურიდამ გამოვიდა და მოსვენებას მიეცა, ერთი წლის შემდეგ თფილისში ახალი მთავარ მართებელი მოვიდა, ამან დაიახლოვა დ. ყიფიანი და თავისთან მისვლა მოსვლა სთხოვა სახლობით, ოთველს მეჯლიშსი წავიდოდა ხოლმე ეს მასთან თავის ასულით. 1863 წ. ამან მიიღო ჯილდო, ანნს პირველი ხარისხის ნიშანი, გვირგვინით. ამ დროს, თფილისში უნდა მომხდარიყო ახალი მარშლის ამორჩევა. ყველა იმას ამბობდა, რომ ყიფიანზე უკეთეს პირს ჩვენ ვერავის ვნახავთო. ეგ უნდა ამოვირჩიოთ, მაგას ყველაფერი კარგათ ესმისო. 1864 წ. მოხდა თფილისში თავად აზნაურების კრება. დ. ყიფიანის წინადმდეგ საკმარისი პარტია აღმოსჩნდა და თანაც მეტათ საფრთხილო, რადგანაც მასში მონაწილეობას იღებდა ჩვენი პოეტი გრიგოლ ორბელიანი და მრავალიც სხვა ასეთი დიდი არისტოკრატიული თავადის შვილებთაგან გამოსული ვეარლები!? თითქმის ყველა უდიდესი გვარიდამ ორი და სამი კაცი იყო წინადმდეგი ყიფიანის ამორჩევისა. კრებაზე ერთმა სიტყვა წარმოთქვა. ვენჭის ურის დროს გრიგოლ ორბელიანმა მიმართა საზოგადოებას და მოახსენა:— „ბატონებო! ჩვენთვის შეურაცყოფა არის, რომ ყიფიანს ვირჩევთ, ერთ კიდაცა უბრალო აზნაურის შვილს, ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ. ეს რიგი არ არის, გარდა ამის, ეგ მართველობის წინაშეც საპატიო პირათ არ არის მიღებული, ეგ ერთხელ მთავრობამ სამსახურიდამაც გამოაგდო. თუ კრება ამაებს ყურადღებას არ მიაქცევს და მაინც მაგას ამოარჩევენ, მაშინ ჩვენ აქ არავითარს მონაწილეობას არ მივიღებთ და გავალთ აქედამ“. ხალხმა დაუყვირა: წადით! წადით! არ გვინდა, ჩვენ სხვას არ ამოვირჩევთ. ეს გვინდა. გრიგოლ ორბელიანი მაშინვე გავიდა კრებიდამ და ამას გაჰყვნენ სუყველა უდიდეს არისტოკრატიულ პირებთაგანი. თავს მჯდომარემ განაცხადა, რომ ვინც კრებაზე არ დაესწრება, იმას უკანონოთ

ჩვენთვლით ჩვენა და არავერს ყურადღებას არ მიგვაქცევთო. გაიმართა რჩევა და ამოირჩიეს ყიფიანი. 1864 წ. თებერვალს. სამის წლის ვადით. 273 თეთრი კენჭი და 4 შავი ამოუვიდა. გრიგოლ ორბელიანის ასეთი საქციელი დ. ყიფიანს ერთობ უკვირდა, უკვირდა მით უფრო, რადგანაც წინეთ და თვით იმ დროსაც ერთმანეთში კარგი განწყობილება ჰქონდათ. ამ დროს გრ. ორბელიანი ავათ გახდა და წინააღმდეგობას თავი გაანება, თორემ ყიფიანს ავნებდა, შესაძლებელი იქმნებოდა, რომ მართველობას არ დაემტკიცებინა. მაგრამ დაამტკიცეს. ყიფიანს აუსრულდა გულის წადილი და სამშობლო ქვეყნის ასპარეზე ახლა-კი სხვანაირათ გაშალა მან ხელები და სხვა ნაირათ გაუმკლავდა საქმეს. ეს გახდა ნამდვილი წინამძღოლი იმ წოდებისა, სადაც კაცების ძებნა დიოგენიევით სამთლით უნდა მომხდარიყო.

ამ დროსვე დ. ყიფიანი მუშაობდა გლეხების განთავისუფლების საქმეებისთვის. ეს ადგენდა წესდებას, თუ მართველობას როგორ უნდა გაეთავისუფლებინათ გლეხ კაცები და ამათ სამაგიეროთ რა უნდა მიეცა თავად აზნაურებისთვის. რასაკვირველია ფული. ამის წერლებში 15 თუმანი კაცზე იყო მოხსენებული და 10 თუმანი ქალზე. ბევრნი თავად აზნაურები ამასაც ცოტაობდენ, ეს რა უნდა იყოსო, ერთხელ გადაგვიხდიან და საქმე მორჩებაო ,მთავრობამ-კი ესეც არ შეიწყნარა. ფულის რიცხვი შეამცირა. იყვნენ ისეთი ბირები, რომ სულ მაგის საქმე არის ესაო. სულ ეგ ეშმაკობდა ამაზე, სულ მაგის გულის კვნესა არის ესაო. ამაზე ყიფიანს ბევრი ლაპარაკი მოუხდა, ბევრი სიარული, თფილისის გუბერნიის სხვადა-სხვა სამაზრო ქალაქებში კრებები და განთავისუფლების საქმის გაცნობა, მაგრამ ვინ რას იზავდა, შავი, ნადირი კეთილ შობილებით სავსე იყო იმ დროს ჩვენი ბედკრული ქვეყანა. ყიფიანმა წარმოსთქვა: „რომ ჩვენ ჩვენის ფულის თხოვნით, ამ

წმიდა დიდ საქმეს ვაჭუჭეიანებთ და ლაფვით ვსვრითო“ ეს ასეც იყო, რადგანაც გლეხებს ათავისუფლებდენ და მიწა მამული მათ რჩებოდათ. მთავრობისაგან ფულსაც იღებდენ და მაინც კიდევ არ ემეტებოდათ. ამ განთავისუფლების კომისიაში სხვათაშორის რეული ნ. კ. მამაცაშვილი და რ. ვაჩინაძე ამათ წარმოუთქვამს: „ბატონებო! რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეს ბედკრული ერი ჩვენს მონად იყო გამსდარი, ახლა ვათავისუფლებთ ამათ და ვათავისუფლებთ ისე, რომ თითო მტკაველს მიწასაც არ ვაძლევთ მათ საკუთრებათ, მოდით ბატონებო და ჩვენდა პატივის საცემლად და ჩვენი მამაპაპის სხენების სადიდებლათ მათ თითო ნაჭერი მიწაც მივსცეთ, ისე ჩუქებით დაუთმოთ.“ ამაზე უკელა წინაღმდეგი გახდა და „არა, არაო“ დაიწყეს ყვირილი. ეს პირი საყვარელი პირია დ. ყიფიანისა. ეს კოს. მამაცაშვილი ის მამაცაშვილია, რომელმაც ქართველებისთვის დიდათ იღვაწა და ამ ღწვით დაიღალა კიდეც. ეს იყო ბარათაშვილის ამხანაგთაგანი, ამაზე წერილებიც წერა. ადრინდელს „კავკაზის“ ნომრებში სხვა წერილებიც აქვს, ნამეტურ ქართველების ძველი და ახალი სწავლა განათლების შესახებ. ამ ორ პირს ესოდენი შრომა მიუძღვისთ ქართველ თავად აზნაურებზე, რამდენიც მთელს წოდებასაც-კი არა. უნდა გსთქვათ, რომ საქართველოს გლეხების განთავისუფლების ცენტრალური კომიტეტის უფროს წევრათ ყიფიანი და ეს პირი ირიცხებოდენ. მთავრობას ბევრნი ეფრთხილებდენ, რომ გათავისუფლების დროს აჯანყება მოსდებაო. ეგონათ ხალხი აჯანყდება იმაზე, რომ ნუ გვათავისუფლებთ, ჩვენთვის ესე ყოფნა სჯობიაო. მაგრამ არც აჯანყება მოხდა, არც ჩხუბი და გლეხებმა სთქვეს ოღონდ-კი განთავისუფლდეთ და რაც-კი გაგვაჩნია სულს გარეთ, ყველა იმას მათ მივსცემთო. ამას ყიფიანიც ასმენდა მართველობას და ამ სიმართლის და შრომის გამო 1866 წ. ყიფიანი დააჯილდოვეს ვლადიმერის მეორე ხარისხის ნიშნითა, ამავე დროს ეს

იმყოფებოდა თფილისის გუბერნიის მზრუნველობაც, ბარე ათი წელიწადი. მარშლათ დარჩა 1870 წლამდის.

ვიდრე გათავისუფლება მოხდებოდა, ყიფიანი და მისი პარტია დიდის გულს მოდგინეობით აკედრებდა ქართველ თავად აზნაურებს, რომ რაც მთავრობისაგან ფული გვერგება, იქიდამ რამდენიმე შეკინახოთ, შემდეგ ბანკი გავხსნათ, გაჭირებაში ერთმანერთს დაკეხმაროთ, მცირე სარგებლითა და თუ მოგება გვექმნება რამე, იმითი კიდეკ დახმარება აღმოუჩინოთ ჩვენი წოდების ღარიბი კაცის შვილებსაო. სასწავლებლებში წასასვლელათ და სხვანიო. თორემ რასაც ფულს აკიღებთ მაგას მალე შეეჭამთ და ბოლოს ცარიელები დაკრჩებით და გრეშის შოვნა გაგვიჭირდებაო. ველარც შვილებს გამოვზდით და ველარც სხვა საქმეებს წაუძღვებით წინაო, ბევრნი წინაღმდეგნი იყვნენ ამისი და ამბობდენ, რომ დღეკანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელს ქათამსაო, ბევრმა სთქვეს, რომ მე შვილები არა მყავს გასასდელიაო. მე ჩემ შვილს სხვაგან გავზდიო. ზოგი: მე ფული არ დამჭირდებაო და ვინ იცის რამდენ რას არ ანბობდენ. მაინც დარჩა კარგა რიცხვი რომელნიც თანაუგრძნობდენ ამ საქმეს. ამათ თავიანთი ფულის მიღების დროს რამდენიმე ზემო აღნიშნული ბანკისთვის დასტოვეს და ამავე დროს ყიფიანის თავოსნობით შეადგინეს ბანკისთვის წესდება და მთავრობას მიართვეს. მთავრობამ რამდენიმე ხნის შემდეგ წესდება დაამტკიცა და ბანკიც დაარსდა, ამას ადვილათ ვამბობთ ჩვენა, რომ დაარსდაო, თორემ ეს ადვილი საქმე არ არის. ამაზე დიდი ტანჯვა მიუძღვისთ ზემოხსენებულს პირებს. ყოველს პატიოსან პირებს არ შეიძლება რომ ვინმე მკიცხველი და მეზობელიც არ ჰყავდეს. ასევე დაემართა დ. ყიფიანს და როცა ეს მარშლათ იყო, მაშინ კატკოვმა წერილი დაბეჭდა ყიფიანის საყურადღებოთ, რომ შენ შენს თავს ქართული თავად აზნაურობის მარშლათ-კი ნუ უწოდებ, არა-

ქედ თფილისის გუბერნიისაო. ამაზე ეიფეანმა პასუხი მისცა, მეტათ საფუძვლიანის მსჯელობით. ეს პასუხი იმ დროის გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა. ქართველი კაცისაგან იმ დროს ესეთი საქმე ძნელ რამეთ ჩაითვლებოდა. 1866 წ. თფილისში მოსდა ხალხის აჯანყება სხვა-და-სხვა ხარჯების შეწერის გამო. კატკოვმა ამ აჯანყებაზე სხვა-და-სხვა ცილები დასწამა ნამეტურ სომხებს. ესენი სულ ნაპალეონისაკენ მიეშურებიან, მის იმედი აქვსთ და მიტომაც მის სახელს არქმევენ მრავათლ ოჯახებში თვის შვილებსაო. ხედავთ ამასო. ამაზედაც კატკოვს პასუხი მისცა დ. ეიფეანმა და მისცა მეტათ მშვენიერათ და ლამაზათ. ეიფეანის პასუხები კატკოვმა სურიოზულ რამეებათ მიიღო და არა დროს არ აკიწუდებოდა ეს. ეიფეანის წერილები კატკოვს გარდა ბევრს სხვებსაც მოეწონათ. საზოგადოთ ეიფეანი კატკოვის წერილებს საკმარის ყურადღებას აქცევდა, რადგანაც იცოდა, რომ იგი ქართველების შესახებ ხშირათ ლაპარაკობდა და ხანდისხან ცილის წამება და კიცხვაც იცოდა. ეიფეანის თანამედროვე კაცებისაგან წერილის დაწერა-კი არა კატკოვის წინააღმდეგ, არამედ ლაპარაკიც-კი ერიდებოდათ. და არას დროს არავინ არათერს ამბობდა. მარშლობის დროს ამან ბევრი რამ საქმეები ამცნია ქართველ ხალხს და ნამეტურ თავად აზნაურობას. აქ ამისაგან ბევრჯერ წარმოთქმულა შესანიშნავი სიტყვები, რომლებიც ხშირათ არ უბეჭდიათ და დღეს ესენი ჩვენთვის დაკარგულია! 1870 წ. ამან აქ მსახურებას თავი გაანება. 1876 წ. თფილისში დაარსდა ბანკი და ასრულდა ამის წადილი. ამავ წელს ეს ამორჩეულ იქმნა ქალაქის თავათ. და აქ მან დაჰყო 1880 წლამდის. ამის ამორჩევაში სომხებიც-კი იღებდენ მონაწილეობას. არა მცირედი შრომა მიიღო ბ. ნ. ნიკოლაძემ.

რაც სამოქალაქო სამართველო არსებობს, მას შემდეგ პირველი მაგალითია, რომ ქართველი კაცი თავათ ეოფილიყოს. ეიფეანის დროს თფილისის სამართველოში ბევრი წესიერება

მოხდა, ბევრი ცვლილება და ბევრს საეკუთვნოს საქმეებს მიეცა აღორძინების დასაწყისი. ამას შემდეგ ეს ამორჩეულ იქმნა „წერა-კითხვის საზოგადოებ“ თავს მჯდომარეთ. ამის თავს მჯდომარეობა მას დაარსებიდამვე არგუნეს, მაგრამ მონაწილეობას ვერ იღებდა, ბევრი საქმეების გამო. თეთილისის საბჭოდამ გასვლის შემდეგ-კი იკისრა აქ თანამდებობა და იკისრა მით უფრო, რომ ეს საზოგადოება თითქმის მის ბირმში შეილათ ჩაითვლება. ამის მეცადინეობით შესდგა ამ საზოგადოების დაარსების ადგილი, ამის შრომით წარსდგა მთავრობასთან თხოვნა და ამის მეცადინეობითაც დაარსდა იგი. წესდებაც-კი ამან შეადგინა. სხვა-და-სხვა მიზეზების და მოხუცების გამო ეს აქ დიდ ხანს ვერ დარჩა, ცოტა ისიც-კი გახდა საბუთად, რომ ეს ზოგი ერთ წევრებს ბევრს რამეში არ ეთანხმებოდა. ნამეტურ ეს გაჯავრდა იმაზე, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებ“-მ თავის სარჯით დაბეჭდა „წითელი ფარანი“ რუსულიდამ ნათარგმნი. წიგნის ენა მან სასტიკათ დაიწუნა, მთელი წიგნი დაჯღაბნა და ზედ წიგნის კორექტორაზედვე დაწერა, რომ რაკი „წერა-კითხვის საზოგადოებ“ ასეთ საქმეებს ჩადის ჩემს დაუკითხავათ, ამიტომ მე თვით ვათავისუფლებ ჩემს თავს ჩემის მოვალეობისაგან. ეს ბევრს ეწყინათ, მაგრამ რა იქმნებოდა. ამის თანამდებობის შემდეგ ეს მინ სცხოვრებდა და 1884 წ. ამორჩეულ იქმნა ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღვრათ. აქაც თავისებურათ დატრიალდა და აქაც თავისებურათ დაიწყო მოქმედება... 1886 წ. გადასახლებულ იქმნა სტავროპოლში და 1887 წ. ოქტომბრის 14, ღამე, მტრებისაგან მოკლული. ამის სიკვდილის ამბები მთელ საქართველოს მეხათ დაეცა, მაგრ ამის გვამი თეთილისში ჩამოასვენეს და დიდის პატივისცემით მამადავითის ეკეკლესიის გალავანში დაასაფლავეს. მკვლელობის მიზეზნი დღესაც არ იციან. ასე და ამ გვარად, ასე უბედურათ გათავდა იმ პატიო-

სანი ვირის ცხოვრება, რომელმაც მთელს თავის სიცოცხლეში დაუცხრომლათ იღვაწა ქართველ ერის ინტერესების დასაცველათ. ჩვენს გათახსირებულს დროში ძრიელ იშვიათი საქმეა, რომ კინმე ქართველი კაცი ასე გულ ამაყათ მდგარიყოს არამც თუ მარტოთ თვის თანამემამულეთ წინაშე, არამედ მთავრობისაცა. ამის მოხსენება მოხსენასთან მიდიოდა ხოლმე, თუ სახელმწიფო რჩევაში და თუ სხვაგან. ბევრ გზის რუსეთის საგვარეულო წევრთათვისაც მიუმართავს ხოლმე. მიცვალებულის გვამი მცხეთაზე ჩამოატარეს და თფილისის გოლოვინის ქუჩაზე გაატარეს, აქ გატარებას უშლიდენ, მაგრამ სალსმა არ ქმნა. ალექსანდრე ეპისკოპოზი შეაჩერეს და უთხრეს: ასე ნუ მიხვალო, მან მიუგო: მე რა ვქნა, საითაც სალხი წავა, მეც იქით უნდა წავიდეო. აკაკიმ შესანიშნავი ლექსი და სიტყვა წარმოსთქვა. ამ შემთხვევამ დიდი ზედ გავლენა იქონია ქართველობაზე. მცირე ხნის შემდეგ დასაფლავების მოთავენი სამართალში იქმნენ მიცემულნი, მაგრამ მთავრობამ გაამართლა ესენი.

დ. ყიფიანი როგორც ჭაზრაკენების მექონი კაცი და ბუნებით დაჯილდოებული ცნობილ იქმნა თავის ასალგაზდობიდამვე, მაგრამ ამას ცოტა ოდნად თვრეები შეაკვეცეს 1832 წ. შემთხვევამ. მაინც ამან ისე იმეცადინა და ისე მოახერხა საქმე, რომ თავისუფლება კვალად დაიბრუნა, დაბრუნდა თავის სამშობლოში და ამის საქმეებს კვლავ გაუმკლავდა, თუმცა არა წინანდებურათ, მაგრამ უფრო მოხერხებულათ და მოსაზრებიანათ. შემდეგ დროებში ამას ესმოდა ის რასაც-კი მოჰკიდებდა ხელსა. როგორც თავის საყვარელ საგანს მეცნიერებას და მწერლობას არ დაანება თავი, ამან ერთსა და იმავე დროს ქართულადაც დაიწყო წერა, თარგმნა და რუსულათაცა, რუსულსაც იმ დროების და ძველის ქართველების შესახებ სწერდა და აქა იქ სხვა-და-სხვა გაზეთებში ბეჭდავდა. რუსულათ ამან ვირველათ

„ზაკავკაზსკი ვესტნიკში“ დაიწყო წერა, შემდეგ „კავკაზში“— „ცისკარში“ „საქართველოს მოამბეში“ „მნათობში“ „იკერიაში“ და „ქართულს ბიბლიოთეკაში„ პირველათ დ. ყიფიანმა დაიწყო ქართულს ენაზე შექსპირის დრამების თარგმნა, პროზათ. ამის დროს ქართულს ენაზე შექსპირის დრამების თარგმნა პირველი იყო და ამიტომ მას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზებიც დახვდა წინ, გარდა მის, ამ დროის ქართველობამ ისიც არ იცოდა თუ შექსპირი ვინ იყო, ამის პირველი თარგმანი 1858 წ. „ცისკარში“ დაიბეჭდა და ეს თარგმანი ძრიელ ბევრს მოსწონებია, ყველა სიამოვნებით კითხულობდა თურმე, თუმცა იგი დაწერილია მეტათ ბუნდოვანის ქართულის ენით. ამ თარგმანის წინ მსვლელობამ წასწიეს დ. ყიფიანმა სხვა-და-სხვა დრამების თარგმანთა სურვილში და იგი ამის შემდეგ ერთობ ერთგულათ შეუდგა საქმის აღსრულებას. მან დაიწყო სხვა-და-სხვა დრამების თარგმნა და ეს თარგმანები მხოლოთ კარგა ხნის შემდეგ გამოაქვეყნა დასაბეჭდათ. სჩანს ეს ან აშალაშინებდა მათ და ან სხვა რამ მიზეზები ჰქონდა. პირველი დრამის შემდეგ „ცისკარში“ ამან სხვა წერილების წერა და ბეჭდვა დაიწყო. ვიტყვით, რომ ყველა ამის წერილებს თან სდევს ევროპიული მიმართულება, ევროპის ერის მოწინავე პირთ მოძღვრების და ჰაზრების თანხმათ შეკრებილი და განმარტული გრძნობები, უდიდესი მიდრეკილება და მიმოხვრა საამოქალაქო სულოვნებისა და აღორძინებისაკენ, დიდი და ვრცელი ნატვრა სწავლა განათლების და მეცნიერების წინაშე. ამის წერილები არც ერთ თვის თანამედროვე ქართველთ მწერალთ ნაწერებს არ ჩამოუვარდება. მაგალითად ამისაგან ნათარგმნი ოტავ ფელიეს მოთხრობა „ერთი ღარიბი კაცის შვილის რამანი“ დღესაც სიამოვნებით წაიკითხება. მაშინ აღტაცებით კითხულობდენო. 1858 წ. დაბეჭდილია 9 წიგნს „ცისკარში“ მოთხრობა „ზვიმა“ სადაც სხვათა შორის აწერილია

ამერიკის ბოგნის ამბავი, ინდოეთის და ჭინაჭინის მოგზაურებისა. ეიფეანის თანამშრომლობა კერესელიძეს ძრიელ გასარებია. ეს ამაგ წლის „ცისკრის“ მკითხველებს სიამოვნებით ეცნობებს იმ ამბავს, რომ ჩვენდა სასიხარულოთ ჩვენ ჟურნალს სამუდამოთ თანამშრომლობა აღუთქვა დ. ეიფეანმა და იმედია, რომ დღეის შემდეგ საქმე კარგათ წაგვივალ.

ეს ასეც იყო. ეიფეანი ამ ჟურნალისთვის ულელთვის მეცადინეობდა. ეს აქ ზოგს თვის ნაწერს გვარსა და სახელს აწერდა და ზოგს ბაქარ ქართველს. როცა ამან შექსპირის თარგმნა და ბეჭდვა დაიწყო „ცისკარში“ მაშინ ამას მკითხველიც მომატებია. ბევრი რამ არის აქ ამის ნაბეჭდი, სულ რომ შეიკრიბოს ვეება ტომი გამოვა. 1860 წლებში, ამ ჟურნალში ატეხილ ბჭობაში ეს მონაწილეობას არ იღებდა, არც ერთ დასს არ ეკედლებოდა, არც ძველებს და არც ახლებს, ამას უნდოდა, რომ ამ ორ თავობაში ხიდათ ყოფილიყო. რაც ამან „ცისკარში“ წერა, უნდა ვსთქვათ, რომ ეს მას მაინცა და მაინც ისე არ ასიამოვნებდა, როგორც რიგი იყო, ამას აქ დაბეჭდილს თავის ნაწერებზე გულიც არ მისდიოდა, მაგრამ სად რას იზავდა. ამას უნდოდა მეცნიერება, მეცნიერების შესახებ წერა და მის ნატვრა და აღორძინება საქართველოში. ამის შესახებ ჩვენ ზევითაც ვსთქვით. მეცნიერული წერილების წერას ამას „ცისკარში“ ვინ დაუშლიდა, მაგრამ ეს მან არ ინდომა აქ, რადგანაც ამისაგან შედგენილი „ცისკრის“ პროგრამა ალ. ორბელიანის სახლში წაკითხულ იქმნა და დაწუნებული, რომ მაგ პროგრამით არ მოგვცემენ ნება რთვასო. აი რამ გახადა ეს იძულებული აქ არ წერისა. „საქართველოს მოამბე“ რომ გამოვიდა, ამის პირველი ნომერი წაეკითხა. მეორე ნომრისთვის უკვე თავის თარგმანი „ზეციური მნათობები“ მიტრელისა გაუგზავნა და თანაც შეუთვალა, რომ თქვენი ჟურნალის პროგრამა წავიკითხე და გასაოცარ დაკრჩი, რომ შიგ მოხსე-

ნებული არ არის სამეცნიერო ნაწილია. ეს როგორ შეიძლებოდა. მაშ როგორ რა უნდა მოეფინოს ჩვენ ქვეყანაში, თუ სამეცნიერო წერილებს არ დაბეჭდავთ. პირადათ კიკითხე აქა იქ და აღმოსჩნდა, რომ თუმცა მოხსენებული არა გაქვსთ თქვენ ესაო, მაგრამ სიამოვნებით-კი . დაბეჭდავთ ასეთ წერილებსა და ამის განზრახვაც გქონიათო. ახლა გიგზავნით ამერიკელის ერთის ვარსკვლავთ მრიცხველის პროფესორის მიტჩელის წერილს და იმედია, რომ დაბეჭდავთო, აქ დ. ყიფიანი ამბობს, რომ ეს შრომა მე ჩემა მეგობრებმა დამავალესო, თორემ თვითონ არ დავწერდიო. ეს რასაკვირველია მის გამო, რომ კაი თუ არ დაბეჭდონო, რაკი ამხანაგების დავალებას მივწერ უფრო უკეთესი იქმნებაო. რედაქტიას სიამოვნებით დაუბეჭდია პირველს თებერვლის წიგნში, თითო წიგნში თითო საკითხი უნდა დაებეჭდათ, მაგრამ შემდეგ ეს აღარ არის დაბეჭდილი. ვარსკვლავთ მრიცხველის მიტჩელის თხზულება კრცელი ტომია, ყიფიანს მთლათ სდომნია ამის თარგმნა, უთარგმნია კიდეც, მაგრამ ბეჭდვით-კი შეუჩერებია. დღეს ამის ხელთნაწერი დაუბეჭდავათ სძევს, თუმცა ახლანდელის ვარსკვლავთ მრიცხველური მწერლობის შემდეგ მიტჩელი მაინცა და მაინც დიდი განძი არ არის და ფლამარიონი ბევრათ უსწრობს წინ მას, რადგანაც დღეს ვარსკვლავთ მრიცხველობა ისეა წინ წასული 1850 წლებზე, როგორც პოლიტიკური და მუშათ კითხვები 1850 წლებზე, მაგრამ ამის დაბეჭდვა მაინც საინტერესო იქმნება ქართულს ენაზე, რადგანაც ასეთი წიგნებიც-კი იშვიათია ჯერეთ ჩვენში. ყურნალ „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ეს ისევ „ცისკარს“ დაუასლოვდა და 1867 წ. აქ დაბეჭდა შექსპირის ერთი თარგმანი. „ცისკრის“ შემდეგ მონაწილეობას იღებდა „დროება“-ში. თავის სახელისა და გვარის მოუწერლათ. 1871 წ. მონაწილეობა მიიღო „მნათობში“, აქ დაიბეჭდა რამდენიმე შექსპირის თარგმანი.

ამის აქ მონაწილეობა „მნათობის“ რედაქციამ დიდის სიამოვნებით აუწყა თვის მკითხველს, რომ „მნათობში“ დღეის შემდეგ დ. ყიფიანი მიიღებს მონაწილეობასო. ამას შემდეგ ამან მიღო მონაწილეობა 1879 წ. „იგერიაა“-ში. აქ ამის დაიბეჭდა ერთი წერილი, ქართული მართლ წერის და ენის შესახებ, პასუხათ ერთის ქართველის ბლაღონინის, რომელიც 1878 წ. თფილისის საამღვდელოების კრების თავსმჯდომარეთ იქმნა ამორჩეული და ეს კრებაზე არავის აძლევდა ქართულათ ლაპარაკს ნებას, რადგანაც ეს არის „პრისუსტვენი ადგილიო და რუსულათ უნდა იქმნეს საუბარიო“.

ამ წერილს გარდა აქვე დაიბეჭდა მისი თარგმანი „სვეტლელი დალაქი“ ბომარშესი. დაწერილი 1751 წლებში. ამას გარდა ამავე ჟურნალში 1879 წ. დაიბეჭდა მოლერის კომედიები; „სიყვარული მეურნალობის“ „სიყვარული მსატვრობს“ და სხვანი. ეს პიესები დ. ყიფიანს ადრე ჰქონიეთ ნათარგმნი, მაგრამ საბეჭდავათ-კი ვერ მოემზადებინა. ეს თარგმანნი იმ დროის ქართველობამ დიდის სიამოვნებით მიიღო. ზოგი ერთი თარგმანი თფილისის სცენაზედაც წარმოადგინეს და წარმოდგენამ ცოტათი მძიმეთ ჩაიარა, რადგანაც ყიფიანის ენა მეტათ ბუნდოვანია. ამის შემდეგ დ. ყიფიანმა დასწერა ერთი ლექსი და სთარგმნა რამდენიმე მოთხრობა, რომელიც დაიბეჭდენ 1882 წ. ქუთაისის ქართველ ქალების ბიბლიოთეკაში. გამოსჩნდა რომ დ. ყიფიანს წინეთ ლექსებიც უწერია, ამ ლექსიდამ ცხადათ გამოსჩნდა, რომ დ. ყიფიანი მეტის მეტი დიდი პატივის მცემელი ყოფილა მდედრობით სქესის პატივისცემის და მნიშვნელობისა. ეს დიდის დიდებით ჩამოსთვლის სუფევლა ხალხების მრავალთ შესანიშნ მდებრობით სქესთ, ამათ შემდეგ გადადის ქართველებისაზე და ბოლოს ამბობს, ნუ თუ ამდენ ამდენი საპატიო ქალების ღვაწლის შემდეგ ჩვენ შეგვეფერება რომ დედაკაცი ღირსებით კაცზე დაბლა დავაყენოთო? ეს

არ შეიძლებაო. ავიღოთ ჩვენი დედაკაცები: ნინო, თამარი და ქეთევანიო. ესენი განა მამა კაცებს ჩამოუვარდებიან რამითო. არა მგონიაო და სხვანი. 1883 წ. დამდეგ ვ. ორბელიანმა ლექსი დაბეჭდა, სადაც თვის სიბერეზე სჩივის და ლექსების წერის უძლურებაზე. ამას ყოფიანმა ურიფმო ლექსით პასუხი მისცა და დავალა, რომ მაგას ნუ იტყვიო, შენც ისე უნდა იბრძოლო უკანასკნელ წერტილამდის, როგორც შენი პაპა მეფე ერეკლეო. ლექსების წერაშიაც რა გიშავსო. ამაზე ვ. ორბელიანმა პასუხი მისცა დიდის პატივის ცემით, რომ არ ვარ პოეტი, ჩემს გულში ცით გადმოსული პოეზიის ნაპერწკალი არ აღეზნებულაო. ამ დროს ეს დაბარებულ იქმნა რუსეთში, რუსეთის უმაღლესის მთავრობისაგან. აქ მისთვის უნდა მიეცათ მეტათ დიდი თანამდებობა, მაგრამ ეს მას მალე ვერ ელირსა, უთხრეს ცოტა დაიცადეო. ამან დაიწყო ცდა. აქ ეს ამ ცდისაგან დიდს გაჭირებაში ჩავარდა, მაგრამ რას იზავდა. უმაღლესს მთავრობის თხოვნას ვერ უარს ჰყოფდა. მაინც აქ ყოფნაც ამან ცუდათ არ დაკარგა, ამან აქ დაათავა თავის ქართული გრამატიკა, რომელიც ადრე ჰქონიეო დაწყებული, „სხარტულად დაწერილი, ჩემის შვილებისათვისო“ ასე სწერს წინა სიტყვაობაში დ. ჩუბინოვს. ადრინდელ ქართული ენის პროფესორს, რომელიც პეტერბურგში იმყოფებოდა. ამასვე უძღვნის თვის გრამატიკას დიდის პატივის ცემით. გრამატიკა დაბეჭდილია მეტათ სასუფევლის კილოთი და მასთანვე ადვილ გასაგების ენითაც. აქ ყოფნის დროს მას შემთხვევით დაახლოვება მოხდენია იმ მემამულის მთავარ დადიანთან, რომლისაგანაც ეს თითქმის დაიღუპა, მთავარს შეუჩივლია, რომ ჩემი მამულების საქმე ერთობ ცუდათ მიდის, გლეხები უარს მეუბნებიან სარჯის გადახდაზე, უმეტეს ნაწილს თვით იჩემებენ, საქმეებს სადავოთ მიხდიან და თქვენ ეხლა-კი მართლდებითო. მეტი გზა არა მაქვსო. ყოფიანს ეს გახარებია, მადლობა ღმერთს, რომ მე თქვენს წინაშე ჩემის თავის გამარ-

თლებასაც მოგესწარიო. მე არ მეგონა, თუ ამ ბედნიერებამდის მიმაღწევინებდა ჩემი სიმართლეო. მთავარს რაღა უნდა ეთქვა. აქ ყოფნის დროს დ. ეიფეანი ისეთ გაჭირებაში ჩავარდა, რომ უკანასკნელს 300 მ. ჩუბინოვისაგან უგექსილოთ ისესხა და საქართველოში, თავის მამულში დაბრუნდა. ეს რამე თანამდებობის მიღებას ადარ აჭირებდა. ამან დაიწყო „ივერიაში“ წერა. სწერდა სხვა-და-სხვა წერილებს ძველი ქართველი ოჯახების შესახებ, ბეკრნაირს სხვა-და-სხვა საქმეებზე და ნამეტურ თავად აზნაურების ოჯახური საქმეების დაცემაზე, გასრწნაზე და ცუდს უძღურებაზე. ამის წერილები ძრიელ ბეკრს მოსწონდათ და იგი მოსაწონიც იყო, ნამეტურ სწავლა განათლების გამო. დ. ეიფეანი ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას ძრიელ ბეჯითად ადეგნებდა თვალყურს და ყველაფერს თავისებურს მეგობრობასაც უწეკდა. მაგალითად: თფილისის სათავად აზნაურო ბანკის შესახებ ეს ძრიელ გაჯავრებული იყო, ნამეტურ მაშინდელს გამგეობაზე, სწუხდა საშინლათ უფრო იმაზე, რომ ბანკი შველის მაგიერ ყელს გვჭრის და მიწაზე გვასწორებსო. ამ ჭაზრის იყო წინეთ ნ. ნიკოლაძე, ეს აშკარათ ამტკიცებდა ამას, რომ დღეკანდელი ბანკის წესდებას ასეთი შედეგი მოჰყეებაო. ამ ჭზრისკე იყო აკაკი და მრავალიც სხვანი, მაგრამ ამათ კერაფერი გააწყეს და ილ. ჭავჭავაძემ და ბეს. გოგობერიძემ საქმე დაანბოლაკეს. ეიფეანს ბეკრნი ეთანხმებოდენ. ამათ წინაღმდეგ „ივერია“-შ გამოვიდა ბ. ილია ჭავჭავაძე. ამათ მკაცრი პოლემიკაც მოუხდათ, პოლემიკის დედა ჭაზრებს აქეე მოვიყანთ.

დ. ეიფეანი სწერდა, ბანკი გავხსენით, გეეგონა ჩვენს ანრას წამალს დავადებდით, მაგრამ ეს ისე არ აღმოსჩნდა, ჩვენს ანრას უფრო მოუმატეთ სატკივრები. ჩვენ ჩვენი ბანკის დაარსებით დავიღუპეთ თავები, განა ამას მოველოდით ამისაგანა, განა ამის იმედი გვქონდა ჩვენა. ჩვენი მამულები ბანკში

ისე იყიდება. რომ მის გაყიდვის ამბებიც-კი არ გვესმის, რამ-დენს გაეყიდა, რამდენს ეყიდება და რამდენს გაეყიდება კიდევ ამას რიცხვი არ ექმნება. რა უნდა ვქნათ, როგორ უნდა უშველოთ თავს და რა უნდა მოვახერხოთ. ეს სხვა-და-სხვა დონის ძიებებს იგონებს და ბოლოს ბანკის გამგეობას ავალებს, რომ მათ ბანკში შეადგინონ ერთი კომისია, რომელიც უნდა ჭეპტრონობდეს ბანკში დაგირავებულს იმ მამულებს, რომლების ეპტრონებსაც ბანკში თავის დროზე ფული არ შეაქვსთო. ამათ ეპტრონს დროებით შეუკრავენ მამულის შესავალი და ამ შესავლიდამ აღებულის ფულით შეავსონ ბანკში შესატანი გადი, თავის ჯარიმებითაო. თუ ესე არ მოხერხდა, მაშინ ჩვენი საქმე ძრიელ ცუდათ წავალო, რადგანაც ჩვენი ერი ვერც ბანკის მწარე განაჩენებს იცნობს, იგი არც გაზეთებს კითხულობს და არც ბანკის მოქმედებრობას ადგენებს თვალ ყურსაო. ბევრის მამულები აქ ისე დაიყიდება, რომ ეპტრონი ვერც-კი გაიგებს რამესაო. ამ ჭაზრისა იყო თითქმის აკაკიცა და ესეც ამას ამბობდა ეირდაეირ, რომ თუ რამ არ უშველეთ ჩვენს თავსა, საქმე ერთობ ცუდათ წაგვიგაო: ესენი კიდევ ბევრს სხვა-და-სხვა რამეებს ამხილებდენ და ამბობდენ, რომ ბანკის ეს წესი არის მეტათ ცუდი და ის წესიაო. ამათ ეასუხს აძლევდა ჭაკ-ჭაკაძე, ეს ამბობდა, რომ ყოფიანი და აკაკი ისეთ დავალებას სდებენ ბანკსა, რის მოხერხებაც ყოველათ შეუძლებელიაო. მას-ზე დიდი ჯაფა წაგვიგა, დიდი ხარჯი და სხვანი და მამულებს-კი ბოლოს გაყიდვა მაინც არ ასცდებათ. ჩვენში ბანკი და მისი წესები-კი არ არის გასამტყუნ გასაკიცხი, არამედ ლათაია უზ-რუნველი ქართველი, რომელიც ათადან ბაბადან მხოლოდ ვა-ლის აღებას დაჩვეულა და გადახდას-კი არა. ბანკი რა შუა-შია, როცა უზრუნველი ქართველი აქედამ აღებულს ფულს ათას ნაირს სამრახის საქმეებში ანხევს და ფლანგავს. აქ ბანკი-კი არ არის საძიძო და საკიცხიო, არამედ ქართველია, ქართველიო,

რომ ამან ისწავლოს სესხი და კალი, თვალი გაახილოს და ალებ მიცემობის გზაზე გამოვიდესო. თუ მათ კალის გადახდა არ უყვართ, არ ეჭაშნიკებათ, ამისთვის არ ზრუნავენ და არ მეცადინეობენ, მაშინ ყველაფერი უბრალოაკო. ჩვენ ამაებს ვერ ვიგისრებთ, რომ ვიგისროთ, მაშინ მთელი თანხა მხოლოდ ამ საქმეების მოხმარებას მოუნდებაო. როგორც სესხის ალება იციან, ისევე გადახდაც უნდა ეყვარდესთო. ყოველნი სწერდა, რომ დიახ, ეგ ყველაფერი კარგი, მართალია, მაგრამ ქართველი ხალხი ხმია ბანკების და მათი წესებისაო და თუ რამ ლონის ძიება არ გიხმარეთ და წამალი არ მოუძებნეთ, მაშინ ქართველი ხალხის მამულები სულ მეათედი ფასათ დაიყიდება ამ ბანკების საშუალებით და სულ მოკლეს ხნის შემდეგ საქართველოში ქართველი კაცი ცარიელი დარჩება და აქ ერთი მტკვალი მიწა ალარავის ექნებაო. მხოლოდ სახელი იქმნება ქართველის, თორემ სახრავი და საქმე-კი არაფერია. ამის ნიშნები ჩვენ უკვე ვნახეთ და ბევრნი რომლებიც ბანკის მასეში ჩავარდენ და ერთი წლის ნახევარი ვერ შეიტანეს, ამათ ამ შესატანს ფულში უცბათ გაეყიდათ მამაპაპეული მამულები და ხელცარიელნი დაშთენო. ასე ოსტატურათ მამულების ბნევა და ტაციობა საქართველოში სპარს ოსმალთა მეფეების დროსაც არ იყოკო. ბაგბაგაძემ მიუგო, რომ ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ რა უყოთო. ბანკი თავის სარგებლობას ეძებსო. ჩვენი საქმე არ არის ისაო. თუ დაგირავებული მამული ბატონს გაეყიდება თუ სხვასაო, საქმე იმაშია, რომ ბანკმა არ იზარალოსო. ჩვენ ეს იმიტომ დავაარსეთ, რომ შეგინახოთ და თანხა გავავრცელოთო. ყოველნის ჭაზრისვე იყო აკაკი. ესეც ცხარეთ კამათობდა. ამათის ჭაზრით ის გამოდიოდა, რომ ბანკი ჩვენს დასახმარათ დავთუძნეთ და ახლა დახმარება დაღუპვაზე შეიცვალაო. ბანკის წესდება და წესები სრულიად შეცვლას, გაშინჯვას და ახალად გაცნობას ახოულობსო. ამაების შესახებ

ბევრნი ჭაკჭაკაძის წერილებს ეთანხმებოდენ და ბევრნი ეიფეი-ანს და აკაკისა, ესენი ამბობდენ, რომ ჩვენ ჩვენმა კაცებმა ამ ბანკის საშუალებით ისეთი საფრთხე გაგვიხიანეს, ისეთი მახე დაგვიგესო, რომ აქამდის თუ ბრიკაზის საშუალებით წელიწადში ქართველი კაცის ხუთი მამული იყიდებოდა, ამის შემდეგ ბანკის საშუალებით თხუთმეტი და ოცი მამული გაიყიდება და ამასაც სულ უცხო ხალხი იყიდის, მასზე ქართველ ხალხს და ნამეტურ უმიწაწყლო გლეხებს არაკინ ასუნებინებსო.

ამის შესახებ დიდი კამათობა და დიდი ბჭობა მოხდა ქართველს ერში და მწერლობაში. დიდი ალიაქოთი და ბოლემიკა ბანკების შესახებ. სწორეთ ამ დროს დ. ეიფეიანს ბრძანება მოუვიდა, რომ სტავროპოლში უნდა გადასახლდეო. ამას ჯერ ეს ერთობ ემძიმა, მაგრამ რას იზავდა, დაემორჩილა ბედს და 1886 წ. ოქტომბერში გაემგზავრა სტავროპოლს. ამას ჩამოვლა ქუთაისიდამ ცხეთაზე მოუხდა, აქედამ კაკკავით უნდა გაეკლო. ცხეთაში წავედ მე, თან წავიღე მრავალი ქართული წიგნები და მოხუცებულს გარდავეცი, წიგნებთანვე გარდავეცი ჩემი უზომო ღრმათ პატივისცემა, მრავალთაგან დიდი თანაგრძნობით სავსე სალამი და მოკითხვა. გარდავეცი, რომ მრავალთ სურდათ აქ მოსვლა და თქვენი ნახვა, მაგრამ იგინი სხვა-და-სხვა მიზეზებმა შეაბრკოლეს. თქვენ, თანაგიგრძნობენ და გაფასებენ თითქმის ყველა წოდების ქართველნი, თავადაზნაური, მღვდელი, ბერი და გლეხი, რომელ წოდების ერთ წევრთაგანი მე გახლავარ და მათის თხოვნით და ბევრი ქართველი ახალ გაზდა უმაწვილების დავალებით დიდს, განუზომელს სიყვარულს გიცხადებთ მეთქი. მოხუცებულს დიდათ ესიამოვნა, დიდათ გაეხარდა და ალარ იცოდა რა გვარათ გადაეხადნა ჩვენი პატივისცემის სამაგიერო გარდასახადი. ძრიელ შეწუხდა, რომ თქვენ მე წინათ არა მნახეთ, მე თქვენი ნახვა მსურდა დიდი ხანია, მაგრამ საქმე ისე წავიდა, რომ მე ვერ

მოგნახეთო. ახლა-კი იმედი მაქვსო, რომ სტავროპოლიდამ თქვენთან მიწერ მოწერას ვიქონიებო. ჩემი ნაწერების შესახებ რადაცას მოვახერხებო, თუ რამ მაქვს, თან მიმაქვს, იქ შევასწორებ ყველაფერსა და გაცნობებთო. ბევრი კიდევ სხვა რამ მითხრა. ლაპარაკის დროს იმისი მოხუცებული თვალები მეტის გამჭრიახობით ელვარებდენ, მაგარი ბოსი ხმა და გამბედავი მიმართვა ერთობ მტკიცეთ იყვნენ მასში დაცული. მის ნახვამ, საუბარმა და დარიგებამ, შორს გამსჭვრეტელობამ და ბევრნაირმა ღირსებამ თვალთ წინ დამიხატეს ირლანდიის პატივის მცემელი მოხუცებული ვილიამ გლადსტონი, რომელიც დ. ყიფიანისაგებ თეთრ თმით შემოსილი გულ მდუღრათ აგვდრებს ინგლიის უმაღლეს მთავრობას ირლანდიის გათავისუფლებას და მათ ხალხათ ცნობას. დ. ყიფიანი ერთი ისეთ გამბედავ და თავ გამოდებულ ქართველთაგანი იყო ჩვენში, რომლის მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან.

ამის გრამატიკა რომ დაიბეჭდა, მაშინ ერთ ადგილობრივ რუსულს გაზეთს ძრიელ ეწყინა, რომ ზოგი ერთ რუსულს გაზეთს ყიფიანის ქართული გრამატიკა მოეწონათო. ჭკვიობდენ კიდევ მასზე, რომ ეს გრამატიკა პეტერბურგში დაუბეჭდია პატრონსო. ამაზე ყიფიანმა პასუხი მისცა და ძრიელ სასტიკათაც შეეხო. შენ, როგორ შეგიძლიან, რომ ჩვენს ენას და გრამატიკას ისე იხსენიებო. ორი ათასი წელიწადია, რაც საქართველოში ქართული ენა და ქართული მწერლობა არსებობსო და მაშ როგორ გნებავთ, სჩანს თქვენ გსურთ, რომ ეს ხალხი და ენა დღეს ადარ იყოს რაღაო? ეს არ შეგეფერებათ თქვენაო. ჩვენ, ჩვენს თანა მორწმუნე რუსეთს ჩვენ დიდის ერთგულებით შეუკავშირდით, სარწმუნოება ჩვენი ერთიაო, ჩვენ თითქმის ძმებათ ვსთვლით ჩვენს თავებსაო და თქვენ კინა ბრძანდებით, რომ გაძალულხართ და იმასაც-კი გვძრახავთ და მტერობაში გვართმევთო, რომ ჩვენ ჩვენს ენაზე გრამატიკას ვბეჭდავთო. ჭაიგიდი, ჭაიო!

1885 წ. ამის შესახებ, ერთმა წუწკმა რუსმა, ბარაზდინმა, რომელიც სიღნაღში მსახურებდა და აქედან ქრთამების გამო გააგდეს, ეს წაკიდა რუსეთში და იქ ქართველების სამტრიოთ ერთ დამპალს ყურნალში ჯღანბა დაიწყო. ამანგე საკმარისად სიცრუით გატენილი დანოსები ბეჭდა თვის სამაგალს წერილებში და მთავრობა ატყუილა, მაგრამ ყოფიანმა არც ამ ურცხვი მტრის მუქარები დასტოვა უპასუხოთ. ეს ის ბარაზიანია, რომელიც ქართველებზე ისეა გაბრაზებული, რომ შეეძლოს აქამდისაც აგვიკლებდა. ესა და ამის პარტია ბევრს ცილის წამებებს აკრცელებდენ თუ ყოფიანზე და თუ საქართველოს ერზე.

ესეც ეწყინა დ. ყოფიანს ის, რომ უკანასკნელ სომხებმა ბევრს ქართველებს, რომელნიც სომხობას მხოლოთ ეკლესიის მხრით ეკუთვნიან და რომელნიც ენით, ზნე, ჩვეულებით ისეთივე ქართველები არიან, როგორც ჩვენ, ამათ ჩასმენა დაუწყეს, რომ თქვენ სჯულს გარდა გვარითაც სომხები ხართო და ამიტომ თქვენს დედა ენათ სომხური ენა უნდა იცნათო. ამათ თავი გაიტანეს და ბევრი ქართველი სომეხიც შეშალეს თავის გზიდან. ამის შესახებ ყოფიანმა „კავკაზში“ წერილიც დაბეჭდა. ამასვე მიმართეს დიდის თხოვნით აჭარის ქართველ ბეგებმა და ბევრი რამ დაუკვლეს მთავრობასთან სათხოვნელათ. დ. განსვენებულმა მათი თხოვნა დიდის აღტაცებით და სიამოვნებით მიიღო.

ასე და ამ გვარათ რომ გაგუგეთ დ. ყოფიანის ცხოვრების გაცნობას, მაშინ ჩვენ ნათლათ გავიგებთ, რომ ეს პატიოსანი პირი ქართველი ერის სამსახურისთვის ყოველთვის მზათ ყოფილა და ამას არას დროს და არც ერთხელ არც ერთ საქმეში უკან არ დაუწევია. ეს ქართველების საქმეებისთვის მეცადინე იყო თვით იმ დროსაც-კი, როცა საქართველოში საზოგადო საქმეები ყოველ ქართველს აინუშიაც არ მიაჩნდათ და როცა ასეთ საქმეების თანამგრძნობელს პირს ეჭვითაც უმზერდენ და „საქმე გამოგწყვეტია!“-ს უწოდებდენ. აი ამისთანა დროის ერიდამ გამოვიდა დ. ყოფიანი და თავის სიკეთიანობის ერთ პატიოსანს, მტკიცე ნიადაგზე იდგა.

ზ. ჭ.

18476

301.19
K 551